6994

ნაკადული

სკოლამდელი ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917

აპრილი, № IV.

მოზრდილთათვის

წყაროსფერი

საყმაწვილო ჟურნალი
ქართველი

წელიწადი მე-XIII. № 4. 1917 წ.

ყრმები იესო და იოანნე.

F-5814
193

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ყრმები იესო და იოანნე,—სურათი 1

II—გაზაფხულის სიმღერა,—ლექსი დ. ედიაშვილისა.... 3

III—მშვიდობით იავ,—ცქვიტისა..... 4

IV—ხელოვნების ქურუმი,—დ. კიდიასანიძისა 12

V—ნოშრევან მეფე ბ მისი ოცი ვაჟი,—ხალხური ზღაპარი (დასასრული) გალექსილი გ. თეძმისხეველისა.....24

VI—შავ ტუანეტას შვილობილი, — მოთხრობა ჯემისონისა, (შემდეგი) თარგმანი დათიკო ანთაძისა..... .37

VII—ძველი რუსეთი და რევოლიუცია,—ვ. კოტეტიშვილისა. 58

სტამბა-ლიტოგრაფია კავკასიის რკინის გზისა, ტფილისი 1917 წ.

გაზაფხულის სიმღერა



არალო, ჰარი-ჰარალო,
ჩემო მზეო და მთვარეო;
ააპრიალე სხივები,
შეჰლებე არე-მარეო.

ია, ვარდი და სოსანი
ფერხულს აბამენ ბაღში,
მერცხლების ისმის ბჟკი
ვერცხლით შეჭედილ ცაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ჰარალო, ჰარი-ჰარალო,
წყარომაც მოილხინაო;
თვისი ალმასი მძივები
მზის სხივზე ააბზინაო.

მდინარეებმა შეისხნეს
ბორკილი ყინულისაო;
მაღლით დაეშვნენ მინდორზე,
დაღარეს მკერდი ტყისაო.

ჰარალო, ჰარი-ჰარალო,
გლეხნო, გამოდით გარეთა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასწიეთ მინდვრებისაკენ,
ორლობე ჩაიარეთა.

იქა ბიბინებს ჯეჯილი,
მსწრაფლ გაგიხარებთ გულსაო;
ბლომად გპირდებათ, იცოდეთ,
ზამთრისთვის ჭირნახულსაო.

ჰარალო, ჰარი-ჰარალო,
მეხრეე, შენც ადექ, გელიო!
ჩაიცვი კოხტა პაიჭი,
სახრეს მოჰკიდე ხელიო.

ბოსლის კარები გააღე,—
გიცდის ძროხა და ხარიო;
ვანოსაც უთხარ, წაასხას
მთაზე საძოვრად ცხვარიო.

ჰარალო, ჰარი-ჰარალო,
ჩემო მზეო და მთვარეო.
ააპრიალე სხივები,
შეჰღებე არე-მარეო.

ია, ვარდი და სოსანი
ფერხულს აბამენ ბაღშია;
მერცხლების ისმის ჭიკჭიკი
ვერცხლით შეჭედილ ცაშია!..

დ. ელიოზიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობით, იავ ლამაზო!

ადექ, დადექ, თუ ბიჭი ხარ, შე არამზადა, შე კუზპარა შენა!..

— დაიჭით, ნუ გაუშვებთ, ყველაფერი მაგისი ბრალია...

— აბა მომყევით, ბიჭებო, და თუ მაგისი ბრალია, მე უჩვენებ მაგას სეირსა... ჭყივ, ჭყივ!— ჭყიოდნენ გულმოსული ბეღურები თეთრად გათოთქილ ალუბლის ხეზე და თან ისეთი ალიაქოთი, ისეთი დავიდარაბა და ქოჩრის გლეჯა ჰქონდათ გამართული, იტყოდით—მეორედ მოსვლაა.

— იმდენი დღე დაგაკლდეს, შენ ეი, ფეხ-მოგრეხილო, რაც მე ცუდი არა მითქვამს იმის მეტი, რომ მე იმას არ შევირთავ-მეთქი, არა და არა! —გაიძახოდა ხმა-მაღლა ერთი ლამაზი ბეღურა და თან რაც ძალა და ღონე ჰქონდა ხშირ ფოთლებში ძვრებოდა, რომ მრავალ მხრივ ხმლებივით მისეულ ნისკარტისათვის ღაბუა თავი როგორმე მოერიდებინა.

— აი შე ლაწირაკო, თავის მართლებასაც რომ ჰბედავს, ერთი უყურეთ მაგასა!

ახლა კი ძლიერ გაწიწმატდა ერთი მოკამათე ბეღურა, —დაჰკა მაგასაო! —დაიძახა, გაცხარებული ეძგერა და გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა. უნდა გითხრათ, რომ თუმცა ღაბუა იმოდენა მტრებში მარტოდ-მარტო იყო, მაგრამ ისე მედგრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბრძოდა, ისე თამამად იცავდა თავსა, რომ ყველა ფრინველები და მეტადრე ქვემოდ გაღაღანებული ბოსტნეულობა განცვიფრებული დარჩნენ.

— თქვენი ჭირიმე, რა ყოფილა ეგ ღაბუა, რა დევგმირი დაჰბადებია თავის დედასა, ახ, ახ, ახ. .—წიკვინა ხმით გაჰკიოდა ახლად ამოსული ქონდარი და თან ისე გაშმაგებით უკრავდა ტაშს, რომ იქაურობას აყრუებდა.

— აი, დედასა, მართლა რა სამეფო ბიჭია, ვენაცვალე მაგის ვაჟკაცობას. ნეტავ ერთი თვალი მომკრას და დაინახოს, რა ძლიერ მიხარიან, რომ მარტოკაა და ასეთ გმირობას კი იჩენს... ხედავ, მაგისი მზერით ერთი საუკუნის სიცოცხლე მომემატა... თავს გავწირავდი მაგისთვის, დილის ცვარს ვფიცავ!—აღფრთოვანებული ეტიტინებოდა ნაზი, ცისფერ თვალა ყვავილი იქვე ბოსტნის კვლებ შუა ამოსულ ხაჭმაჭიჭა ბალახს, თან მეტი გრძნობით ისე მოხდენილად ირხეოდა, თითქოს ცეკვავსო.

მეორე კვლიდან კი სულ სხვა გვარი წიოკობა მოისმოდა.

— დახე მაგ ნისკარტ-გასახმობს, მანდაც როგორ ყოყლოჩინობს!.. ეგ არ იყო ეგ ქოჩორ აბუძგული. რომ იმ დღეს გვერდები მთლად გამიწიწკნა?!.. იგემა, ბატონო, ჩემი ახალგაზდა, ნორჩი ფოთლები და ისეთი შავი დღე დამაყენა, ისე დამიცხავა გვერდები, რომ დღესაც ალარ ვარგივარ... აბა თქვენ იცით, ბიჭებო! დაჰკათ, დაჰკათ მაგ შეჩვენებულს, ცხვირპირიდან სულ სისხლი ადინეთ, რომ პატარა ჭკუა ისწავლოს და ერთი კარგად იგემოს—დაჩაგვრა რა კაკაც არის!—გაჰკიოდა გაბრაზებული წიწმატი და თან ბოლოკს უჩიჩხვირებდა:

— შენ რა ხმა ჩაგიციებია?! გუშინ ძლიერ უჩიოდი—ფესვებამდინ გამწიწკნაო, და ახლა, როცა მტერს გვაშორებენ, ხმასაც არ იღებ?! მარტო ბოსტანში გაქვს განა დიდი გული, რომ ერთი სიგიჟე თუ წამოგივლის---ლამის აგვყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლმე აქედან!..—ჯავრობდა წიწმატი, თან ალუბლის ხეს ახედავდა და ისედაც გალომებულ ჩიორეებს ასე შესძახოდა:

— დაჰკათ, დაჰკათ, თქვენი ჭირიმე, ერთი მაგისი ჯავრი კი ამომაყრევინეთ და მერე გინდა მეც მიმსხვერპლეთ.

მაგრამ ბელურეებს წაქეზება აღარ უნდოდათ. იმ წამს ისე იყვნენ გააფთრებულნი, ისეთი ჟივილ-ხივილი გაუდიოდათ, რომ ერთმანეთისა აღარა ესმოდათ-რა. მეტადრე მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როდესაც შეუპოვარმა ლაბუამ ერთ საცემრად გამზადებულ მაყარს მარდად თავი ააცდინა, ზემო ტოტზე აფრინდა, ნისკარტი ალმაცერად მოიმარჯვა და თავში ისეთი ჩაუკაკუნა, რომ მაყარი ჭყივილით განზე გაუხტა. შემდეგ გამარჯვებულმა ლაბუამ ერთ ბოლოგრძელა ჩიტს მიმართა, რომელიც ყველაზე მაღლა შემჯდარიყო და მოუსვენრად ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— რა მიყო, თქვენი ჭირიმე, ოჯახი რაზე დამინგრია, თავზე ლაფი რისთვის დამასხა, გვარეულობა რად შემირცხვინა: განა ეს ეპატიებაო!

— ტყუილად ცხაროობ, ზაქარია. მე გელაპარაკები—შენი ქალის შემრთველი არა ვარ-მეთქი. განა საქმე მოტყუებასა და ძალმოძრეობაშია? თვალბისტიანი ქალი რომ შემომატყუე, განა ჯვრის დამწერი ვარ?! გინდა მთელი საჩიტეთი მომისიეთ, მაინც მახინჯს არ შევირთავ... მე სილამაზე მიყვარს და იმისთვის კიდეც მოვკვდები!...

ამ სიტყვებით ლაბუა ჩიტმა დრო იხელთა, ერთი დაიფთხრიალა და როგორც ისარი—წისქვილისაკენ ისე გაქანდა. თან იმოდენა ნათესაობა ჩხუბითა და დავიდარაბით უკან გამოედევნა. ჩამორჩნენ მხოლოდ ბუმბულ-აბუძგული ტარასტა ონისიმე და მისი მსუნაგი მეუღლე ქინქლი-ულაპია, რომელსაც ძლიერ უხაროდა—გაურჯელად ქორწილში ერთი კარგად გამოვძღებიო; მაგრამ რაკი ქორწილი დაიშალა, ისიც იქვე ვაშლის ხეზე შეჯდა და გაბუტულმა საძილედ თავი ჩაქინდრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქაურობა მთლად მიყრუვდა, მხოლოდ შორიდან ბელურეების ჭყივილი ყრუდ მოისმოდა და იმასაც ნიავი მალე შორს მიაქანებდა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ღობიდან ვიღაცას დაკავებული ტირილი მოისმა. ის ვიღაც იყო, ისეთი გრძნობით ტიროდა, რომ იქვე ღობის ძირას უკვე ფერ-წასულ და გახუნებულ იას გულმა ველარ მოუთმინა, ღობესაკენ აიხედა და დაინახა, რომ ზაქარიას გაწბილებული საპატარძლო ქალი საცოდავად მობუზული ღობეში შიგნი-შიგან შემძვრალიყო, ყელიდან სამკაული ჩამოეგლიჯა და საპატარძლო მორთულობაზე მდულარებას აფრქვევდა. გახუნებულმა იამ მწუხარების ნიშნად თავი ოდნავ გააქნია, ორიოდ ცრემლიც თვალებიდან ალმასივით გადმოაპნია და შემდეგ ბელურას წყნარად მიმართა:

— რა გატირებს, ქაჯან! ულამაზობაზე დაგიწუნეს და ეგა გწყინს, განა? ტყუილად გულს ნუ გაიტეხ, ჩემო დაო: მე შენ გარწმუნებ—არც სილამაზე ყოფილა ბედნიერების წყარო. ყველაფერი ამაო ყოფილა ამ ქვეყანაზე. აბა ერთი შემომხედე, დამინახე და მერე გაიგებ—შენ უფრო უბედური ხარ თუ მე. შენ თუ თავის დღეში იმედი არაფრისა არა გქონია, მე, გუშინდელი ქვეყნის სათაყვანებელი, დღეს ხედავ—ყველასაგან მიტოვებული, საცაა მარტოდ-მარტო სულს დავლევ. სიკვდილის წინ მანუკეშებელი არავინ მეყოლება და სიკვდილის შემდეგ კი—თვალების დამხუჭავი.

ამაო ყოფილა, ამაო ეს სილამაზეც: სანამ ხარ, თავს გეხვევიან, მერე კი ქვას მოგაგდებენ და ვილა გკითხავს საგულეში გული ისევ მძლავრად გიცემს, შენც გიყვარს ვინმე, თუ სადმე ძალლი გდიხარ... აბა რა გითხრა, თავშემოგევლე, რომელი ერთი მოგიყვე და რითი გამოვთქვა ეს ჩემი მწუხარება? ან განა აუტანელი უბედურება არ არის, რომ ჯერ გუშინ, როცა მზეს კიდევ ერთი პირი ძილი აკლდა, მოუსვენარი გმირები აბჯარ-ასხმულნი თავს მეხვეოდნენ, ფეხთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკოცნიდნენ, ქვეყნის ამბავს საოცნებო ღიღინით მითხრობდნენ, დღეს კი... აგერ, აგერ, ხედავ იმ ფუტკარს, აგერ მარცხნივ არჯაკელასკენ რომ შეუხვია და კეკლუც შროშანას რომ სიმღერით ეწვია?.. ჰო, სწორედ ეგ ვაჟბატონი ამ სამი დღის წინად ჩემმა სინაზემ ისე მოხიბლა, რომ მზის ჩასვლამდე შორი-ახლო დამტრიალებდა, თავ-განწირვით ათას ჰანგებით ქებას მიძღვნიდა, კიდეც სტიროდა მეტი აღრთოვანებით, მაგრამ ხედავ ახლა, ფერ წასულს და გახუნებულს ერთხელ აღარც კი მომხედა. იმ დღეს, რაკი სკაში არ შესულა და არაფერი შეუტანია, სკიდან თურმე გამოაგდეს და მეორე დღეს ის ამ შემთხვევას ჩემი გულისთვის დიდ ბედნიერებად აღიარებდა, დღეს კი... დღეს—დაინახე გვერდზე გავლის დროს ცხვირი როგორ ამარიდა?!

ეჰ, ჩემო დაო, ასეთი ყოფილა წუთი-სოფელი. „დღესა ხარ, ხვალ აღარ იქნებიო“, ტყუილად კი არ მღეროდა იმ დღეს ტყემლიდან ცელქი მზეწვია. მაგრამ განა მარტო მე ვარ ამ ყოფაში? აბა ვაზებთან აიმ ყაყაჩოს გახედე! ეგ რომ პირველად წითელ ფარჩის კაბით გამოიჭიმა, ამ ვენახის ყველა მწერები ისეთ სიხარულში იყვნენ და მის გარშემო ისეთ ფერხულს უვლიდნენ, გეგონებოდა—ეგ დიდებული მზე იყო, და ისინი კი—ვარსკვლავებიო... ახლა კი ხედავ, თავი უბედურ ქაჩალივით მოსტვლეპია და მარტოდ მარტო უპატრონო წამოყუნტულა. კუტი და მახინჯი კალია რა არის, ისიც კი ზედ არ უყურებს. ნუ, ქაჯან, ნურც აგრე გაიტეხ მაგ გულსა: ქვეყანა თურმე ეგრე ტრიალებს... აკი გეუბნები, ის უფრო ძნელი არ არის, რომ გუშინდელ სათაყვანებელს დღეს ქვასა და ლოდს გესროდნენ?!

აი, დედასა, წინადვე უნდა მცოდნოდა, რომ გაფურჩქვნის დღეს, როდესაც ჩემი სინაზით და სილამაზით გარშემო ყველა სტკბებოდა—გულს მახვილი დამეცა და სილამაზით და ძლიერებით სავსეს სული მაშინ დამელია, რომ ჩემი სახსენებელი და ჩემივე მშვენიერება ქვეყნად სამუდამო ზღაპრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩენილიყო. ახლა რაღას ჰგავს ეს ჩემი უძლური და ულამაზო ყოფნა, ქვეყნის მეტ-ბარგად ვარ დატოვებული და იმას-ღა ველი, როდის ამომივა ეს გამწარებული სული!..

ია გაჩუმდა და მეტი გრძნობით ისე გაიცრიცა, თითქოს სულ სა ლევსო.

ბელურა ბარემ სიტყვის ამოღებას არ აპირებდა, მაგრამ იას რომ გადმოხედა და ფერ-წასულ და მწუხარებით თავდახრილს თვალი რომ მოჰკრა, ახლა თავის მხრივ იის გასამხნევებლად რაც გულს ედო, წრფელად მოუყვა:

— მადლობა ღმერთსა! ვენაცვალე მის მოწყალებას, რომ ქვეყნად სიკვდილი მოგვივლინა. ერთად ერთი ჩემი მხსნელი, ჩემი პატრონი ის არის, ის ამომშლის დედა მიწის ზურგიდან; ის გაანადგურებს ჩემ სიმახინჯეს და ამ ჩემ გრძნობა-სიყვარულს.—რადგან განა მარტო ღაბუას უყვარდა სილამაზე... არა, არა—მეც ძლიერ მიყვარს ამ ქვეყნის მრავალფეროვანი მშვენიერება—მიყვარს, ისე ძლიერ მიყვარს, რომ ლამის დამახრჩოს ამ გამოუთქმელმა სიყვარულმა. მაგრამ რა ვქნა, რომ იგივე ქვეყანა სიმახინჯეს არ ითვისებს! ან განა მე ღაბუას ცოლობას გულში როდისმე გავიტარებდი, მაგრამ ეს სულ მამა-ჩემის და ბიძა-ჩემის ბრალია; ჩემ ხვეწნასაც ყური არ უგდეს, და მადლობა ღმერთს, რომ ეს ასე მოხდა. ვინც რის ღირსია—დეე მან ის მოიპოვოს... მე კი სიკვდილამდე მაინც ყველა მეყვარება, მანამდისინ ამითი ვისულდგმულებ...

ალბად ეს ყველა მახინჯთა ხვედრია: გამოუთქმელად ყველა უყვარდეს, ყველასა გრძნობდეს, ყველას ხედავდეს და იმ სიმდიდრით, რაც მას ზღვასავით გულში უტრიალებდეს, იმითი სულს იბრუნებდეს. მერე კიდეც... ან მე და შენ განა რა შესადარებელნი ვართ! შენ ის დრო მაინც შეგრჩა, გული იმითი მაინც იჯერე, რომ შვენებით სავსე არსებად შენი წრფელი აღტაცება თამამად და გულახდილად მათთან აღიარე, პირდაპირ მათ გაუზიარე და მით შენ გულს შვება მოჰფინე... მე კი, ერთი მითხარ, ყურს ვინ დამიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებდა, როდესაც ყველა თვალს მარიდებდა. რის თქმაც ... მდომოდა, ვერას ვიტყოდი, რადგან თუ ვინმე პირს არ მომარიდებდა, ისეთი შებრალების თვალით შემომხედავდა, რომ ათჯერ სიკვდილი მერჩივნა...

არა, არა! მე დღეის შემდეგ ამ ქვეყნად ველარ გავძლებ, შორს, შორს—მივიწყებულ ტყე-ღრეში გადვიკარგები და იქ მარტო სულს დავლევ. ბარემ წინადვე მქონდა ასე გადაწყვეტილი, მაგრამ რაღაც მეჭიდებოდა და ნებას არ მაძლევდა. ახლა კი ველარ დავდგები!..

ამ სიტყვებით ბელურა ლობიდან გამოძვრა, იას ნელი შეხებით ეამბორა და მადლობის ნიშნად ცრემლები ზედ დააფრქვია; შემდეგ სოფლის ბოლოზე დიდ ჭანდარზე შეჯდა, არე-მარეს ჯერ კი ჩუმად უმზირა და შორიდან ჩიტების ხმაურობა რომ შემოესმა—გულ აჩუყებული ამ სიტყვებით გამოესალმა: მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მხარე, მშვიდობით, ლურჯო, მოკამკამე ცავ, ჩემო ლამაზო მინდვრებო, ჩემო ტკბილად მორაკრაკე ნაკადულო... მშვიდობით, ჩემო კერავ და ბუდე. ერთად ერთ სახსოვრად ღრმა სიყვარულს თან წავიყოლებ: მე ეს მეყოფა და ქვეყანასაც იმისთვის ვშორდები, რომ ჩემით გრძნობა არავის არ შეულახო და არავის არ დაუშალო. მშვიდობით, ჩემო საყვარელო სამშობლო მხარე! მშვიდობით, იავ ლამაზო!..—დაათავა ბელურამ, რამდენიმე წუთით შემდეგ მიდამოს უხმოდ ისე უმზირა, თითქოს მის სახეს სამუდამოდ გულში იმარხავსო, ბოლოს ერთი კი დაიფთხრიალა და შორს მთებისკენ ლურჯ სილრმეში უკვალოდ გაჰქრა...

გარშემო ყველა დუმილს მოეცვა. მხოლოდ შორიდან ჩიტების ჟივილ-ხივილი და დავიდარაბა ყრუდ მოისმოდა. ჭანდარზე კი ერთად ერთი ტოტი ნაღვლიანად ირხეოდა და თითქოს შორიდან მოსმენილ ხმაურობას უხმოდ პასუხს ის აძლევდა.

ტქვიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიქელ ანჯელო.

ხელოვნების ქურუმი

(ისტორიული მოთხრობა)

I

ნაშუადღევის გრილი ბორეასი*) უბერავდა აპენინის თეთრ-თმიან მთებიდან, როდესაც ქალაქ ფლორენციაში პოდესტას**) სახლს მიადგა გაუბედავად ცამეტი წლის ყმაწვილი. ნაკიან 1488 წლის დღე იდგა და, ცრუმორწმუნე იტალიელთა რწმენით, იშვიათი რამ უნდა მომხდარიყო, თუმცა ჯერ არც გულპილწ და იჭვიან მოქალაქეთა,

*) ჩრდილოეთის ქარი. **) ქალაქის თავი, აგრეთვე მსაჯული იტალიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ამაყ ფლორენციას არაფერი ცვლილება არ ეტყობოდა. ყმაწვილის არაჩვეულებრივ, ოთხკუთხ თავის ქალაში დაჟინებით მოძრაობდა რაღაც აზრი, ხოლო მის პატარა, სევდიან, მჭრალ თვალებში, სადაც წამდაუწუმ ჩნდებოდა ხან მოყვითანო, ხან ცისფერი ლაქები, იჭვი გამოიხატებოდა. მისი შავი, თხელი თმები, აწეწილი და მაღალ შუბლზე ოდნავ ხუჭუჭი, ერთსა და იმავე დროს ამხელდნენ კერპ ხასიათსა და გაუტანლობას. ადრე მოკლებულმა დედის ალერსსა და მოუსვენარ, დამთხვეულ, ხოლო ღვთისმოყვარე მამის ხელში, მან უკვე განიცადა ცხოვრების სიმძიმე და სულის მარტოობა.

დღეს ყმაწვილმა სამუდამოდ მიანება თავი სკოლას, სადაც სიხარულით მხოლოდ ხატვასა სწავლობდა, მივიდა ფლორენციის შესანიშნავ. მხატვარ გირლანდაიოსთან და სთხოვა მიელო შეგირდად. ოსტატმა თანხმობა განაცხადა, ხოლო პირობად დაუდო მამის სურვილი. სწორედ ეს კითხვა აწუხებდა ყმაწვილს. მამა მისს მოჰქონდა თავი კეთილშობილ შთამომავლობით და არა ჰსურდა შვილი მხატვარი გამოსულიყო. არ უთმობდა შვილიც: წინააღმდეგობით არა ერთხელ გამოუწვევია მამის რისხვა, ცემაც კი. მამას აქეზებდნენ ძმები, რომელთაც სასირცხოდ მიაჩნდათ, რომ მათ ოჯახში მხატვარი იქნებოდა.

— მოდი, მიქელ ანჯელო, მოდი, მითხარი, რატ სათქმელი გაქვს! გამჩნევ უზომოდ მოხრილ წარბებზე, რომ რაღაც ცოდვა ჩაგიდენია!

— სკოლას გამოვეთხოვე სამუდამოდ და მხატვარს მივებარე!—იყო მოკლე, გაბედული პასუხი, თუმცა კარგად იცოდა მთქმელმა, რომ იაფად არ დაუჯდებოდა ასეთი გულადი საქციელი.

— კიდევ, ახალი ამბავი! ძიძის რძემ აგალაპარაკა ასე! წყეულ იყოს ის დღე, როდესაც ქვისმთლელის ოჯახიდან ძიძა მოგიჩინე!—მრისხანედ დაიწყო მამამ, მაგრამ მოულოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელად, პატარა ყოყმანის შემდეგ შვილს ალერსით მიუბრუნდა:

— კარგი იყოს ნება უფლისა! მან გაჩუქა სიცოცხლე, როდესაც ფეხმძიმე დედაშენი ცხენმა ათრია, მასვე დაუბრუნე იგი, მისდამი სამსახურს შესწირე თავი!

ასე აღსრულდა მიქელ ანჯელოს ნატვრა... გავიდა ხანი, და მასთან ერთად დავიწყებას მიეცა მძიმე დრო ყმაწვილობისა. მიქელ ანჯელო შეიქნა მშვენიერების ძლიერ ქურუმად, ხოლო არ ასცდა იგი ტანჯვას, რომელიც დაბადებითვე შუბლზე ეწერა, არ ასცდა ტანჯვით შრომას, რომლისაგან ხსნა მხოლოდ საუკუნო განსვენებაა.

II

1504 წ. მაისის შუადღე იყო, როდესაც იისა და ვარდის სუნით გაჟღენთილ ფლორენციაში სინიორიის *) სასახლის წინ აღიმართა „დავითის“ მარმარილოს აღალმა, ჭეშმარიტად უმაღლესი ნაყოფი ხელოვნებისა, რომელსაც სცემს ქარი და თავს ეხვევა ღრუბელი; ერთად-ერთი მწვერვალი, სადაც თავისუფლად და ღრმადა ჰსუნთქავს ადამიანი ყოველსიბილწისაგან განმბანილ წმინდა ჰაერს. მას გარს არტყია დარაჯთა რაზმი, რადგან უბრალო ხალხს მიაჩნია იგი ნამდვილ მეომრად, რომელიც თამამად უცქერის თვალში მტერს და შურდულით ხელში საომრად იწვევს კაცობრიობას: აქვე არიან აღალმის შემომქმედი მიქელ ანჯელო და აღალმის შემკვეთი გონფალონიერი**) პეტრე სოდერინი, რომელსაც სწყურია უჩვენოს ხელოვანს თავისი გემოვნება და ცოდნა.

— რას იტყვით? მგონია, რომ სახესთან შედარებით ცხვირი სქელი აქვს აღალმას! — ეუბნება თავმომწონედ ხელოვანს.

---

*) სამთავრო საბჭო ფლორენციაში, სადაც იკრიბებოდნენ ამქართა წარმომადგენელნი და ჯარის მთავარ-სარდალი.

**) იტალიელ რესპუბლიკათა ჯარის მთავარ-სარდალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადვილი გასასწორებელია! — უპასუხებს ღიმილით მიქელ ანჯელო, ადის ხარაჩოებზე, მიაქვს თან საჭელი ყალამი და მცირეოდენი მარმარილოს მტვერი: ამოძრავებს ყალამს ოდნავ, ხოლო ისე, რომ ცხვირს არ მიეკაროს, აბნევს ნელ-ნელა მტვერს და ამის შემდეგ ეკითხება:

— ახლა როგორ გეჩვენებათ?

— ახლა მეტად მომწონს; თქვენ მას სიცოცხლე შესძინეთ!

ასეთ წვრილფეხა საზოგადოებას გამოუქანდაკა დიადმა მიქელ ანჯელომ მწყემსი „დავითი“ უზარ-მაზარ მარმარილოს ქვიდან, გამოუქანდაკა თიოქოს უზნის ჯოხის ქნევით, ნამდვილად კი შესწირა მას სულის და ხორცის სიმთელე.

III

განვლო წელმა... ოქროს-ქოჩრიანი აპოლლონი მხიარულად უვლიდა იტალიის ფირუზ ცის გუმბათს და ათამაშებდა სხივებს კარრარის ნაზ მარმარილოს კლდეებზე. უშიშარი იტალიელი მეზღვაურნი ტკბილ ბარკაროლების *) მღერით გასცქეროდნენ გაშტერებულნი შორს კარრარის ერთ მაღალ მთას, რომელიც ამაყად დაჰყურებდა მთელ არემარეს. თვალებს იფშვნეტდნენ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ და თვალს არ უჯერებდნენ: მაღლა, ცას მიბჯენილი უზარმაზარი კოლოსსი იდგა. ეს არაჩვეულებრივი დევია, რომელსაც შეუძლია დაიპყრას ადვილად მთელი დედამიწა, ქონდრის კაცებით დასახლებული; მაგრამ, საბედნიეროდ, დევი შებოჭვილია, მის ხელ-ფეხზე რკინის ბორკილია, და შეკრულ წარბებზე ეტყობა მგზნებარე მრისხანება.

გაჰქრა... ეს მხოლოდ მოჩვენება იყო, ძლიერი, ხორცშესხმული ოცნება ადამიანისა. მართლაც, მთის წინ გაქვავებულივით ვიღაც ცხენოსანი მგზავრი იდგა. დაბალი ტანისა,

*) იტალიელ მენავეთა სიმღერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარ-ბეჭიანი, წელში მოხრილი, თხელი წვერითა ჩაცვივნულ ლოყებზე, ოდნავ გამოშვერილ ქვემო ტუჩითა, რომელზედაც მქისე სიამაყე გამოიხატებოდა, ტანჯვის გამომსახველ ნაოჭებით ულამაზო პირის გარშემო,—ეს იყო ამ ოცნების შემოქმედი, ოცდა ათის წლის მიქელ ანჯელო, და ოცნება თვისი შეჰქმნა აქ, როდესაც აჭრევინებდა მარმარილოს იულიუს პაპის სახელის სადიდებლად. ეს ოცნება მიქელ ანჯელოს მდუღარე ტვინისა, მისი ტიტინიურ ძალის ქმნილება იყო.

IV

— ტკბილო იესო, შემიწყალე! ტკბილო იესო, შემიწყალე!—გაიძახოდა ცრემლებით მოხუცი კამპანიელი სოფლელი, რომელიც კარგა ხანია არ ყოფილა რომში და შევიდა პეტრეს ბაზილიკაში *) სალოცავად. დაცემულ და შერცხვენილ იქმნა ძველი ტაძარი, რომლის თვით ათასწლოვანი კედლებიც კი, აშენებულნი მოციქულთა სწორ კონსტანტინეს დროს, ლოცვის სურვილს ულვიძებდნენ ადამიანს: მტვერი, ხარაჩოები, კირის, ღორღის და ქვის გროვები არეულ იყვნენ პორფირის სვეტების ნატეხებში და ქრისტეს ეკლესიის ძველ წმიდათა ნაშთებში. ესა ჰხდებოდა პაპის იულიუს მეორეს ბრძანებით: საძირკველს უყრიდნენ ახალ ტაძარს; სჩანს, ძველში ლოცვა აღარ აღწევდა ღმერთამდის.

ტაძრის მოედანიც არ იყო, კარგ მდგომარეობაში: გეგონებოდა, ეს არის ახლა მოხდა ძლიერი მიწის ძვრა და უშველებელი შენობა მარმარილოს ბელტების გროვად აქცია. ეს ბელტები კარრარის ღვიძლი შვილები იყვნენ და მზის სხივებზე ისე საუცხოოდ ბრწყინავდნენ, რომ ადამიანი თვალს ვერ გაუსწორებდა. გროვა ზღაპრულად იზრდებოდა, არა თუ დღეობით, საათობით, და ეს არავის საკვირველად არ მიაჩნ-

*) ძველი ქრისტიანული ეგვიპტელთა ეკლესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რადგან მარმარილოს აზიდვინებდა მიქელ ანჯელო, რომელიც მცირეთი არ კმაყოფილდებოდა და მზად იყო მთელი კარრარა გადმოეტანა რომში. დილიდან საღამომდის მოისმოდა დატვირთულ ეტლების თვლების ჭრიალი, და მასთან ერთად გაისმოდა თამაშის ხმა და ცნობის მოყვარე რომაელთა განგაში.

— თურმე, ნუ იტყვი, იულიუსს მიუნდვია მიქელ-ანჯელოსათვის მატურის აგება, სამსართულიანისა! გაგიგონიათ? ისეთისა, რომ თვით ფარაონთა აკლდამებს არ ჩამოუვარდეს!—იძახის პირველი მოქალაქე.

— ეგ კიდევ არაფერია! თურმე მას დაამშვენებს უზარმაზარი მიწის ქალ-ღმერთი კიბელა, რომელიც დასტირის პაპის სიკვდილს!—ამბობს მეორე.

— რას მოვესწარით!—ქრისტიანის საფლავს წარმართთა ქალ-ღმერთი დაამშვენებს!—იძახის ერთად რამდენიმე რომაელი.

— მეორე მხრიდან კი კუბოს მოუდგება ცის მეუფე ურანია, რომელიც იდღესასწაულებს პაპის უკეთესს ქვეყანაში გადასახლებას!

— ღმერთო, გვიხსენ! ქრისტეს მოადგილეს ძეგლი წარმართთა ხელშია!

—ეგეც უბრალოა, აკლდამას დაამშვენებს ორმოცზე მეტი ალალმა, და მათ შორის აღიმართება წინასწარმეტყველი მოსე რქებით, როგორც შესაზარი ორ-რქიანი სატანა!

— წმიდაო ღმერთო! ასეთი სიმდიდრე აკლდამის იმ ღმერთის მსახურისა, რომელიც, გლახაკივით, ჩალაზე დაიბადა, მწყემსთა თავშესაფარში, რათა უქადაგოს კაცობრიობას სიყვარული ღარიბთა მიმართ.—ღმერთო, გვიხსენ! ღმერთო, გვიხსენ!—ამბობენ შეგროვილნი და შეწუხებულნი ნელ-ნელა დაიშლებიან, რათა ხვალაც შეგროვდნენ და ხელ-ახლად გააბან სისხლის ამღვრევი ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

პაპის სასტუმრო ოთახში ჭექა-ქუხილის წინასწარი სიჩუმე სუფევდა. თითქოს გაქვავებულიყვნენ ძვირფასი ფლანდრიის ხალები წარმართთა საზღაპრო სურათებით და გაოცებულნი შესცქეროდნენ ძველ კედლებზე ოქროთი დაფერილ მხატვრობას, რომელმაც უკვდავება მიანიჭა დარბაზის მოღუშულ თაღებს. თითქოს ამათაც სჯეროდათ ის ზღაპარი, რომელმაც დააფიქრა იულიუს პაპი

თავდაღუნული, წელში მოხრილი იჯდა სავარძელში მოხუცი, ქრისტეს თვისნება მოადგილე. თუმცა მისი თეთრი წვერი, გამხმარი და მკრთალი ხელები მოახლოებულ სიკვდილს მოგაგონებდნენ, იგი მაინც გულს არ იტეხდა. თითს ვეება სისხლის ფერი ლალი უმშვენებდა, ტიტველა თავის ქალას, სადაც უცნაურად იხლართებოდა მრავალი შეუკავშირებელი აზრი, ჰფარავდა სისხლის ფერი ხავერდის სკუფია. თვალებს, რომლებშიაც დროს ჯერ ცეცხლი არ ჩაექრო, გადმოჰკიდებოდნენ შეკრული წარბები. ჩაცვივნულ ლოყებზე ავადმყოფობას დაეჩნია ღრმა კვალი.

— მაშ იძახი, ეს ცუდი ნიშანიაო? — როგორც იყო გამოერკვია პაპი და მიჰმართა აქვე უჩუმრად მდგომ საყვარელ ხუროთ მოძღვარ ბრამანტეს, რომლის ცოცხალ თვალებში მაყურებელი სიხარულს ამოიკითხავდა. ცბიერი, თან ნიჭიერი და ჭკვიანი ბრამანტე კარგადა ჰგრძნობდა მიქელ ანჯელოს უძლეველ ძალას და არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, რათა მოეშორებინა თავიდან საშიშარი მოცილე. თუმცა ბრწყინვალედ, კარის კაცივით, ეჭირა თავი, მაინც ბოლოს დროს მის გულის სიმტკიცეს საძირკველი შეერყა, და ამის მიზეზი იყო იულიუსის მომავალი აკლდამა, რომლის შვენებას უნდა დაეჩრდილა ყველა აქამდე არსებული დიადი ძეგლი. ცრუმორწმუნე იყო პაპი, ამიტომ შეაშინა ბრამანტეს სიტყვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენო უწმიდესობავ! მოგეხსენებათ: „ხმა ერისა-ხმა ღვთისაო“!

— რა გინდა ამით სთქვა?—მოუთმენლად ჩამოართვა სიტყვა პაპიმ და უფრო მეტად გაახილა თვალები, თუმცა ჩვეულებრივად თვალ-დახუჭული უსმენდა მოლაპარაკეს.

— ერი ამბობს, სიკოცხლის დროს საკუთარი აკლდამის აგება ცუდი ნიშანიაო!

— ცუდი ნიშანია, ცუდი? მაინც რას მოასწავებს? სთქვი, რაღას აჭიანურებ!

— სიკოცხლის შემოკლებას, სიკვდილს!

— როგორ, სიკვდილს? მაშ ცოცხლად მმარხავდა მე ფლორენციელი თვალთმაქცი!—განრისხებით წამოიყვირა იულიუსმა.

მაგრამ რა შუაში იყო ფლორენციელი თვალთმაქცი, როდესაც იგი აშენებდა აკლდამას წმიდა მამის სურვილით!

— ვერ მოგართვი, მკვლელო! საკმაოდ ძლიერია ჯერ იულიუს პაპი, რომ სიკოცხლეს არ გამოასალმოთ ასეთი საზიზღარი საშუალებით! კმარა! ამიერიდან სამუდამოდ დამარხულ იქმნა იულიუს პაპის აკლდამა!—სთქვა უკვე წყნარად, თუმცა მის თვალთა სილრმეში სიკოცხლის უშრეტი წყურვილი ამოიკითხებოდა. კმაყოფილი ბრამანტე ახლა მხოლოდ თავის გამარჯვების უკანასკნელ ნიშნებს ღა ელოდა და მალე ეღირსა კიდეც.

— მომიახლოვდი, სასწაულთ-მომქმედო აღმშენებელო!— უთხრა მოკლედ იულიუსმა, გადაეხვია და შუბლში აკოცა.

აღსრულდა: საშიშარი მოცილე მოშორებულ იქმნა გზიდან.

VI

დადგა საბედისწერო დღე, როდესაც უნდა გადაწყვეტილიყო სამუდამოდ იულიუს პაპის აკლდამის სვე-ბედი. ხელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის არაჩვეულებრივად მკრთალ სახეს უძილობამ კვალი დააჩნია. მხოლოდ მამლების ყივილის დროს მან მიანება თავი საყვარელ დანტეს კითხვას, მშვიდობის ერთად-ერთ წყაროს. დღეს მიქელ ანჯელოს უნდა გადაედგა უკანასკნელი ნაბიჯი, თუმცა იგი ნათლად ჰგრძნობდა, რომ საქმე სამწუხაროდ დასრულდებოდა. ხელოვანმა გაუსწორა ანგარიში მრავალ მენავეს, ქვის მთლელსა და მზიდავს თავის ჯიბიდან, რადგან იულიუსის ხაზინა მისთვის დიდი ხანია დაკეტილი იყო.

— მაპატიეთ, ბატონო! ვერ შეგიშვებთ: აკრძალული მაქვს,—მშვიდად სთქვა მეკარემ, როდესაც მიქელ ანჯელო მიადგა პაპის სასტუმრო ოთახს.

— როგორ უბედავ, ბრიყვო? არ იცნობ, ალბად, ბუონაროტტის!—შესძახა მსახურს შემთხვევით აქვე მყოფმა ლუკკას ეპისკოპოსმა.—განა არ იცი, რომ მესსერეს *) ნება დართული აქვს ყოველთვის ინახულოს პაპი!

— მაპატიეთ, ბატონო!—გაიმეორა ბოდიში მსახურმა,— მე მხოლოდ მსახური ვარ, და ამიტომ მოვალეობად ვთვლი ავასრულო განუსჯელად ბრძანებელის ნება!

ეს სიტყვები რომ გაიგონა, მიქელ ანჯელო დაბრუნდა სახლში და მისწერა იულიუსს მოკლე წერილი:

„წმიდაო მამავ! დღეს დილით, თქვენი უწმინდესობის ბრძანებით, მე გაგდებულ ვიქმენ სასახლიდან. გაცნობებთ, რომ დღეიდან, თუ დაგჭირდებით, შეგიძლიათ მომძებნოთ ყველგან, რომის გარდა“.

გაგზავნა რა წერილი, მიქელ ანჯელომ დაიბარა ორი ერთგული მსახური და უთხრა:

— გამონახეთ ებრაელი ვაჭარი, გაჰყიდეთ, რაც კი მოიპოვება ამ სახლში, და გამოეშურეთ ჩემსკენ, ფლორენციაში!

სიტყვა მალე საქმედ იქცა. ორი საათის შემდეგ მიქელ ანჯელო, გულ-დათუთქული, უკვე რომს თავს ანებებდა; მხი-

*) ბატონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლავი იყო პირველი ღიმილი უკვდავი ქალაქისა, ხოლო ძვირი გამოდგა იგი ხელოვანისათვის. ალერსიანად გამოიყურებოდა მარად ჭაბუკი კამპანია თავისი აფერადებული გორაკებით. ბალახი ავრცელებდა ნექტარივით ტკბილ სუნსა; მაღლა ჰაერში მედიდურად დასცურავდნენ არწივები. მშვიდობა სუფევდა მიქელ ანჯელოს განმარტოებულ სულში. მაგრამ ეს მხოლოდ ტკბილი სიზმარი იყო: მას კვალ-და-კვალ მისდევდა ხუთი მდევარი პაპისა.

VII

— პაპი თუ თურქი? —მწარედ იმეორებდა მრავალჯერ მიქელ ანჯელო. ეს კითხვა აწუხებდა მას შემდეგ, რაც დაბრუნდა სამშობლო ფლორენციაში. თუმცა პაპიმ გაუგზავნა ხელოვანს ზედი-ზედ სამუქარო წერილები, მაინც ვერაფერი გააწყო ჯიუტ ხელოვანთან. ხონთქარი პაპზე ძლიერია, ამიტომ სურვილებიც ძლიერი აქვს. მართალია, მაგრამ მის გულში ქრისტე არაა! რასაკვირველია, ცუდი არ არის რომის თავგასული ხუცესნი მშრალზე დავტოვო, მაგრამ სამშობლოს რა პასუხი გავცე?

პაპი მზად იყო გალაშქრებულიყო ფლორენციაზე, რომელმაც მფარველობა აღმოუჩინა ხელოვანს და ამით შეურაცხყოფა მიაყენა ქრისტეს მოადგილეს. სწორედ ამან გასტეხა მისი სიკერპე.

— ღმერთო, ღმერთო ძლიერო! ნუ თუ დედამიწაზე თავისუფლება მხოლოდ ზღაპარია, და აუცილებელია მონობა ადამიანისა? ნუ თუ არა კმარა, რომ ადამიანი მონაა ხელოვნებისა, რომელმაც შთანთქა ჩემი სულიცა და ხორციც?

ამიტომ სიცოცხლისა და ადამიანის მიმართ ზიზღით გაევსო მიქელ ანჯელოს გული, როდესაც მფარველმა სოდერინიმ მიჰმართა მას შემდეგი სიტყვებით:

— შენ მოექეცი პაპის ისე, როგორც არ მოექცეოდა მას თვით საფრანგეთის მეფე. გთხოვ აუცილებლად დაუბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე რომს, წმიდა მამას, რადგან შენი გულისათვის [illegible] ძლებელია!

მაგრამ ეს თხოვნა უფრო ბრძანებასა ჰგავდა, ვინაიდან მიქელ ანჯელოს მორჩილებას სავალდებულოდა ჰხდიდა.

ცუდი დრო დაუდგა ბოლონიას 1506 წელს; იგი უკვე იულიუს პაპის საკუთრებას შეადგენდა. აქ გამოცხადდა მიქელ ანჯელოც, რომელიც უნდა ჰხლებოდა მეუფეს. იმ დროს, როდესაც ხელოვანი მიემართებოდა სან-პეტრონიოს საკრებულოში წირვაზე, შემოეყარა პაპის მეჯინიბეს, უკანასკნელმა კი მიჰგვარა იულიუსს.

სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა დაბნელებული დარბაზი „თექვსმეტის სასახლეში“, სადაც იმყოფებოდა ძლევამოსილი ქრისტეს მოადგილე. გარსშემორტყმულს რაინდებითა და სპასალარებით, სრულიად დაჰვიწყებოდა მას სახარების მშვიდი მოძღვრება და შეეცვალა სისხლიან მახვილითა. პაპა იჯდა საზეიმო ხავერდის საჩრდილობელ ქვეშ, რომელზედაც ოქრომკერდით მოქარგული იყო მუხის ფოთლები და რკოები—იულიუსთა გვარის ნიშნებით.

— გაგონილა განა, რომ პაპა გეძებდეს შენ, და არა შენ-პაპას? —მიუბრუნდა განრისხებული იულიუსი მიქელ ანჯელოს და მოუჭირა ძვლის ყავარჯენს თავისი გამხმარი თითები.

— წმიდაო მამავ! გულკეთილად მაპატიეთ საქციელი, რომელიც ჩავიდინე, არა თუ ცბიერმა, არამედ შეურაცხყოფილმა, უსარგებლო ადამიანსავით რომიდან გაძევებულმა კაცმა,—გარკვევით სთქვა მუხლ-მოყრილმა მიქელ ანჯელომ მაღალის ხმით და პაპის თვალებში ცქერით, რადგან იცოდა, რომ ეს ესიამოვნება განრისხებულ მეუფეს. მაგრამ სიჩუმე მოჰყვა ამ წყნარ ბოდიშს პასუხად. მას მოაგონდა მიქელ ანჯელოს წერილიდან სასტიკი სიტყვები: „შენ დაიჯერე სხვა-და-სხვა არაკები და ნაუბედი, დაასაჩუქრე სიმართლის მტერი. ვიმედოვნებდი, რომ შენი სამართლიანი სასწორი და ძლიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახვილი, და არა ყალბი გამოხმაურება, იქმნებოდნენ ჩემ ერთადერთ მსაჯულად. რაიცა შემეხება მე, შეგეთვისე ისე, როგორც მზეს—ნათელი სხივები.

უკანასკნელ სიტყვებთან ერთად იულიუსის სახე მზად იყო მოწმენდილიყო, თუმცა მტარვალი ჰგრძნობდა, რომ მიქელ ანჯელოს სიმძაფრე უფრო ნამდვილია, ვიდრე მისი წყნარი ბოდიში; მაგრამ ამ დროს პაპის ხანგრძლივი სიჩუმით, წარბშეკრული სახითა და ბებრულ პირის კუთხეების ღმეჭით დაშინებულმა აქ მყოფმა ეპისკოპოსმა, რომელმაც იკისრა ხელოვანის დაცვა, წარმოსთქვა:

— თქვენო უწმიდესობავ! ნუ მიაქცევთ ყურადღებას მის სისულელეს: მან უმეცრების გამო შესცოდა. თვის ხელოვნების გარეშე ასეთია ყოველი ხელოვანი!

— უმეცარი შენა ხარ, სულელო! შენ შეურაცხჰყავ იგი ჩემზე მეტად; გამეცალე თავიდან, ჯოჯოხეთის კერძო!—შეჰყვირა განრისხებულმა იულიუსმა და მრისხანედ მოუქნია კვერთხი ეპისკოპოსს, რომელიც შიშისაგან გაქვავდა. როდესაც მსახურებმა გააბძანეს რეგვენი მცველი დარბაზიდან, ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. იულიუსმა მიიახლოვა მიქელ ანჯელო, მოწყალებით აკურთხა, აკოცა შუბლში და ჩუმად, რომ სხვებს არ გაეგონათ, უთხრა ყურში:

— ნურად მიიჩნევ იქვიანობას, როგორც მე არ მიმაჩნია არაფრად ცილის მწამებლები, და იცოდე, რომ ჩემზე მეტად არავის უყვარხარ, რომ მარტო არა ხარ, რადგან ჩემი სიყვარული შენდამი შენთანა არს მარად!

ასე მოხდა არაჩვეულებრივ ადამიანთა შერიგება, მაგრამ ძვირად დაუჯდა მიქელ ანჯელოს დროებითი მშვიდობა და იულიუსის წყალობა.

დავ. კილოსანიძე

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოშრევან მეფე და მისი ოქრო ვაჟი

(დახახრული*)

ედამიწა დაიჯანყა,
ცა მარაგით დაიბურა.
კოხტამ ხალიჩა გაშალა,
ქუდიც თავზე დაიხურა.

უთხრა: ხალიჩავ, აფრინდი,
გაარღვიე ღამის ბინდი,
ხელოსანთა სამეფოში
წამიყვანე, გადაფრინდი.

---

*) ახალგ. „ნაკადული"-ს მე-3 ნომერი 1917 წლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამ დღე-და-ღამეს იფრინა,
გადიარა ბევრი მთები;
ერთ უცნაურ ქვეყანაში
შორს გამოჩნდა შენობები:

მაღალ-მაღალ სართულებში
პატრონები სეირნობდნენ,
იმათ ქვემოდ სარდაფებში
ხელოსნები მუშაობდნენ.

ჩარხები დაბზრიალებდნენ,
გუგუნებდნენ, გრიალებდნენ;
ნებივრები ერთობოდნენ,
თამაშობდნენ, სრიალებდნენ...

ხალიჩა ძირს ჩამოეშვა,
კოხტამ ნახა იქ მუშები;
ოსტატები მოეგებნენ
და მიართვეს ნიმუშები;

ყმაწვილმა მათ შეუკვეთა
უცნაური—გასაკვირი,
იმ საქმისა გაკეთება
ძნელი იყო, გასაჭირი...

სამი თვის ვადა დაუდეს,
ფასიც ბევრი აუწიეს;
ათას თუმნად გაურიგდნენ,—
ხათრი აღარ გაუწიეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰყაბულდა. წამოვიდა
კოხტა ფულის საშოვნელად;
ქუჩა-ქუჩა დადიოდა
წყნარა-წყნარად, ნელა-ნელად...

სადაც ეწყო ბევრი ოქრო,
ნაარმევი, წანართმევი;
თავისუფლად შედიოდა,—
ყველგან ჰქონდა გზა ნაკვლევი...

გამოჰქონდა. ღარიბებსა
კითხულობდა, გაიგებდა;
ნუგეშსა და იმ ფულს ერთად
უნანელად არიგებდა...

სამ თვეს ასე იმუშავა,
ბევრი ბნელი გაანათა,
შემდეგ წარსდგა ხელოსნებთან,—
შეკვეთილი დახვდა მზათა.

გასინჯა და მოიწონა;
რაც დაჰპირდა,—დაუთვალა.
მერმე თავისი ხალიჩა
ჩვეულებრივ გადაშალა.

უთხრა:—აბა, შენებურად
კვლავ ჰაერში ამიყვანე;
ხელმეორედ საჩინეთში
წამაბრძანე, წამიყვანე.

სამი ღამის შემდეგ დილით
კოხტა იყო წყაროს პირზე.
ხალიჩაზე მოეკეცნა,—
ტკბილად დამღეროდა სტვირზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ უდგა ორი ირემნი,
ხელოვნურად ნაკეთები;
ცოცხლებივით მოძრაობდნენ,
იყვნენ მეტად ლამაზები.

როცა საკრავს დაუკრავდა,—
ცეკვა-თამაშს დაიწყებდნენ;
გაკვირვებულ მაყურებლებს
თავის საქმეს ავიწყებდნენ...

გარშემო შემოეხვივნენ
მიმსვლელ-მომსვლელი ქალები;
უცნაურ საზანდარისთვის
ვერ მოეშორათ თვალები...

უმზერდნენ და უყურებდნენ,
ვერ ძღებოდნენ სიამითა;
ირმებისა თამაშობით
და იმ ვაჟის ტკბილი ხმითა.

უცებ მეფე მოაგონდათ:
—ვაი, ვაი, დაინახავს!
ამ საამურ ყმაწვილ კაცსა
მოგვიკლავს და დაგვიმარხავს!..

ამ დროს მართლა აივანზე
გამობრძანდა მეფე-ქალი,
თვის სარკეში ჩაიხედა
და რალაც ჯგუფს მოჰკრა თვალი:

მაშინათვე გამოგზავნა
მხევალი მათ დასაშლელად,
თან იმ ვილაც საზანდარის
შესაპყრობლად, მისაგვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოხტა გაჰყვა მოკრძალებით
თავის ბარგი-ბარხანითა;
მეფე-ქალი მიელოდა
მას სახითა მრისხანითა.

მაგრამ ირმებს რომ დახედა,
აკანკალდა მისი გული.
ჰკითხა:—ეს რის ნიშანია?
რად ხარ ეგრე დანაღვლული?

მოახსენა:—ანგელოზო!
ჩაგრული ვარ ბედისაგან,
ჩემი თავგადასავალი
არ ითქმება ენისაგან...

ქალმა ბრძანა:—დაჯექ, მითხარ,
არაფერი არ დამალო!
შენი დღენი დათვლილია,
შე საწყალო, შე საბრალო!..

—მეფე-ქალო, მოგახსენებ
ამბავს, ძნელსა გასაგებად;
გთხოვ, რადგანაც სიკვდილს ველი,
თქვენთან დარჩეს აღსარებად:

—პირველად მე ბუნებამა
ხარ-ირემად გამაჩინა;
მაშინდელი ტკბილი დღენი
ღმერთმა აღარ შემარჩინა...

ამხანაგად ფურ-ირემი
მყავდა, სიყრმით შენაძენი;
ქვეყნად ჩვენთვის ანათებდა
ცისკარი და მზე სხივ-მფენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოახსენა: ანგელოზნ! ჩაგრული ვარ ბედისგანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთამაშობდით, ვნავარდობდით,
ერთმანეთსა შევხაროდით;
თავისუფალ მწვანეებზე
დავხტოდით და ვნეტარობდით...

ერთ დღეს ასე კმაყოფილთა
ჩვენ დაგვიდგა ავი დარი;
იმ დაბურულ უღრან ტყეში
ამოვარდა დიდი ქარი;

ვნახეთ: უცებ ორნი კაცნი
გამოგვიდგნენ დასაჭერად,
დამსხლტა ჩემი მეგობარი
მოკლულ გულის დასასერად;

მე ერთ ქედსა წავადექი,
შიშმა მეტად დამაწყლულა,
კაცად შექმნა ღმერთსა ვთხოვე,
როგორც მხედავთ—ამისრულა.

ბევრი ვძებნე მეგობარი:
ვერ ვიპოვე—ვიწალმართე.
სატრფოს მოგონების ნიშნად
ეს მანქანა გავიმართე...

დავდივარ და საკრავს ვუკრავ,
ვართობ გულსა მე სიმღერით;
ქვეყნად ეს-ღა დამრჩენია:
ვსტკბები ამ ირმების ცქერით...

მეფე-ქალი ფრთებ-შესხმული
აღტაცებით წამოფრინდა:
—მე ვარ, სატრფოვ, შენი სატრფო,
მე ვარ წმიდაც, შენი წმიდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინდელი პირუტყვები
მეტყველებად გადვიქეცით;
აქამდისინ ბნელში მყოფთა
ჩამოგვადგა შუქი ზეცით!..

ახლა ყველა კაცი მიყვარს;
გავცემ ამის ბრძანებასა:
ნულარავინ გაასხვავებს
კაცთა და ქალთ გვანებასა ..

გაიმართა დიდი ლხინი,
ქალაქები გააჩაღეს;
ერთმანეთის სიყვარულით
კორდ-ჯაგნარი გააბაღეს.

ყველაზე მეტად ხარობდა
მათში ერთი დედაბერი;
ბედნიერთა სასახლეში
ბინა ჰქონდა შესაფერი.

*
* *

კოხტას გული კანკალებდა
ფიქრთა ქსელში გახლართული;
საქმე ღალატს წააგავდა,
გაჩარხული, გამართული...

დევთან ჰქონდა მას პირობა,
სახლშიც გული უჩქაროდა;
საჩინეთის მეფე გახდა,
მაგრამ მას არ უხაროდა:

რაკი სხვა გზა აღარ იყო,
გადასწყვიტა წაიყვანოს,
ისე კი, რომ დედოფალსა
არც აწყინოს და არც ავნოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ დღეს თავის დედოფალი
გაიწვია ქალაქ გარედ;
ერთად დასხდნენ ხალიჩაზე,
მოწყენით და მგლოვიარედ:

კოხტამ ხალიჩას უბრძანა:
აფრინდი, ცა მოგვატარე:
სევდა რამე შემოგვაწვა,
გაგვიფანტე, განგვიქარე...

ხალიჩამ შეინავარდა,
გასრიალდა ცის სივრცეში;
ბოლოს პატრონის ბრძანებით
ჩამოეშვა ერთ დიდ ტყეში.

მეფე-ქალმა გამოჰკითხა:
ხომ არ ეჭვობ სიყვარულში?
რაღაც ჭმუნვა იმალება,
რათ არ მიმხელ, რა გაქვს გულში?

კოხტამ სიმართლით უამბო
ყველაფერი დალაგებით:
რომელ მეფის შვილი იყო,
ან სად მოხვდა ღვთის განგებით...

თავის მამის ანდერძიდან
ძმების წასვლა ქალთ საძებრად,
ჯადოქარის მოჩვენება
ყაჩაღების უფროს ბებრად...

პირ-ცეცხლიან დევისაგან
გამოქვაბულში მომწყვდევა,
უფროს ძმების შეშინება,
ტირილი და ცრემლის ფრქვევა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს პირობის დადება,
გრძნობა თავის დანიშნულთან,
სინდისი და ფიქრთა ბრძოლა
გვერდზე მჯდომის სიყვარულთან...

—გკითხავ: მიხმობ მეგობარსა;
მეც მაგ გრძნობით ვიმსჭვალები:
ჩემ პირობებში რომ იყო,
შენ რას იქ, ნუ მეკრძალები?..

ქალმა უთხრა:—მოვისმინე
ბნელი გული გამინათდა:
დღეს მე შენი სიყვარული
გამიმტკიცდა, გამიათდა...

წინ მიგიძღვის დიდი შრომა,
ბევრი კარგი მაგრძნობინე,
მძულვარების სისხლის ღვრასა
მომარჩინე, ამაცდინე...

შენში არის დიდი ნიჭი,
თეთრსა და შავს კარგად ამჩნევ...—
პირობა მას შეუსრულე,
ვისაც ამის ღირსად არჩევ...

დევი მუდამ ბორტია,
მარტო თავსა ანებივრებს;
შენ კი სულ სხვისთვის გივლია,—
ახლაც გულსა ეგ გიმტკივნებს...

მე კი მხოლოდ ამას გეტყვი,
რაც მაქვს გულში აღნიშნული:
ან მე უნდა შემითვისო,
და ან შენი დანიშნული?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟმა უთხრა:—სანამ მივალთ
ვიცი სამ წელს გადასცდება,
მას მე მკვდარი ვეგონები,
ქმარს შეირთავს—გათხოვდება. .

შენ მიგიყვან ბოროტ დევთან,
პირობაზე დაგვიხვდება;
ვეტყვი: ძალით სიყვარული
ვაჟკაცობას არ უხდება...

არ მიიღებს კეთილ რჩევას,
გაბრაზდება, განრისხდება,
თავის პირით ნაფრქვევ ცეცხლში
ჩავარდება, ჩაინთქმება...

მაშინ ველარავინ გაგვყრის
ჩვენი ნატვრა ასრულდება:
შენ მეუღლე—მევობარი,
ის—ერთგული და იქნება...

ქალი ვაჟსა მოეხვია:
—აკი ვთქვი, რომ გესმის ყველა.
სიკეთითა შეგიძლიან
უბედურთა ხსნა და შველა!.

მერმე დასხდნენ ხალიჩაზე,
გაემართნენ დევის მხარეს;
ბევრი მთები, ბევრი ზღვები
გადიფრინეს, გადიარეს.

მიახლოვდნენ გამოქვაბულს,
ძლივს სწვდებოდა დაბლა თვალი;
კოხტამ მაღლიდან დასძახა:
მომყავს, დევო, მეფე-ქალი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევი კარში გამოვარდა,
სიხარულის ცეცხლს აფრქვევდა;
დახტოდა და ღრიალებდა,
არე-მარეს შეარყევდა...

შამბნარს ცეცხლი წაეკიდა,
სულ დაჰფარა მთელი ხევი,
თავის პირით ნაფრქვევ ალში
შიგ ჩაიწვა თითონ დევი...

კოხტა თავის მეგობარით
გადაფრინდა სამშობლოში;
ზურნა-დაფის ხმა ისმოდა
ქალაქის თავს და ბოლოში.

თურმე იმის დანიშნულსა
ძმები ქორწილს დღეს უხდიდნენ,
რაკი ვადა გადასცილდა,
არ ელოდნენ არ უცდიდნენ...

ამ დროს უცებ კარს მიადგა
უმცროსი ძმა უფროსებსა—
თვისი ბრწყინვა მიუმატა
ვით ცისკარმა ვარსკვლავებსა.

კოხტას გვერდზე მჯდომი ქალი
ბნელ ღამესა ათენებდა;
სიტურფით და სინარნარით
იქ მყოფთ ყველას ამშვენებდა...

დამკვრელთა და მომღერალთა
გაჰქონდათ და გამოჰქონდათ;
იმ უდიდეს წყვილ ქორწილში
ჩიტის რძეც კი ბევრი ჰქონდათ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძმებმა კოხტა გადაჰკოცნეს,
უთხრეს: შენ ხარ ნიჭის მქონე,
ჩვენს სამეფოს შენ გაბარებთ,
მოუარე, უპატრონე..

ერთმანეთის სიყვარული, სჯულად დასდეს გააღმერთეს.

სამშობლოს და საჩინეთსა
სხვა ქვეყნებიც შეუერთეს,
ერთმანეთის სიყვარული
რჯულად დასდეს, გააღმერთეს...

გიგო თეძმისხეველი.

ᲛᲐᲒ ᲢᲣᲐᲜᲔᲢᲐᲡ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲚᲘ

(ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ *)

VI

ᲢᲣᲐᲜᲔᲢᲐ

ᲬᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲘᲧᲝ, ᲐᲮᲐᲚ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲒᲗᲐ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ, ᲣᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲠᲔᲝᲚᲔᲑᲘ ᲪᲝᲢᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲔᲢᲠᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲗ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲕᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲒᲠᲘᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲔ ᲐᲘᲕᲜᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲤᲠᲐᲓ ᲨᲔᲦᲔᲑᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲕᲜᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲬᲐᲠᲛᲐᲢᲐᲪᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘ. ᲡᲐᲝᲪᲜᲔᲑᲝ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲐᲧᲐᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲛᲙᲕᲠᲘᲕᲘ ᲡᲕᲔᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲘᲬᲕᲜᲔᲜ. ᲚᲝᲛᲔᲑᲡ ᲤᲔᲮᲗᲘᲗ ᲗᲘᲗᲝ ᲓᲐᲯᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲘᲡ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ ᲔᲓᲝᲗ, ᲩᲐᲚᲛᲔᲢᲐᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲓᲔᲢᲠᲐᲕᲐᲡ ᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲔᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲐᲒᲝ ᲓᲐ ᲨᲘᲒ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲓᲐ.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲔᲢᲠᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲑᲐᲚᲡ ᲓᲔᲢ-

*) ᲘᲮᲘᲚᲔ „ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“-Ს ᲛᲔ-3 №, 1917 ᲬᲚᲘᲡᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავას ოჯახში, როგორც მთელ მის ცხოვრებაში [illegible] მოვლენას. დეტრავას ჩამომავლობა ბოლოს ნელ-ნელა ამოწყდა და უკანასკნელად ამ ოჯახის ჩამომავალთაგან დარჩა მხოლოდ შარლ დეტრავა, მდიდარი შაქრის პლანტატორი, რომელიც აქ ყოფნას სოფელში თავის მდიდარ პლანტაციაზე ცხოვრებას ამჯობინებდა.

დიდიხანია, რაც დეტრავას სახლში აღარავინ ცხოვრებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ ზამთარში სახლის პატრონს ერთად ერთი ქალის, დომინიკანთა მონასტრის სასწავლებელში ახლახან სწავლა დასრულებული, მშვენიერ ესტელა დეტრავას პირველად საზოგადოებაში გამოსვლის გამო ისევ გაიღო დაკეტილი კარები. ეს დღესასწაულიც სამუდამოდ დარჩა მის ხსოვნაში, ვისაც ბედმა ამ ზეიმზე ყოფნა აღირსა. სამოქალაქო ომის წინ ეს უკანასკნელი ზამთარი იყო და თითქმის მხიარულების უკანასკნელი დრო, რის შემდეგაც მწუხარების და სისაწყლის წლები დაიწყო.

მოკავშირე ჯარების ერთი პირველ მოხალისეთაგანი შარლ დეტრავა იყო. დასტოვა სოფელში ცოლშვილი მარტოდმარტო. თავისი რაზმით ომში წავიდა, რომ იქიდან აღარ დაბრუნებულიყო. ქმრის წასვლის შემდეგ მეუღლე ჩქარა გარდაიცვალა და თუ ანგარიშში არ მივიღებთ იმ რამდენსამე ნათესავს, რომელნიც საფრანგეთში სცხოვრობდნენ და ესტელლას არას დროს არ ენახა, ის მარტოდ-მარტო დარჩა. შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ ის ქმარს გაჰყვაო, მაგრამ არავინ იცოდა ვის. იმ საშინელ დროს მათზე ისე ცოტას ფიქრობდნენ, რომ როდესაც ურსულის ქუჩაზე დიდი და საუცხოო დეტრავას სახლი ცეცხლმა შთანთქა და გავრცელდა ხმა, რომ ცეცხლში ახალგაზდა დედა, ბავშვი და გამდელი დაიღუპაო, ყველა შეძრწუნდა და გაოცდა. არავის ეჭვადაც არ მოსდიოდა, რომ სახლში ხალხი ცხოვრობდა და რომ ქმრის დაკარგვის შემდეგ შარლ დეტრავას ოჯახობა ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ველიდან ქალაქში მიტოვებულ სახლს შეეფარა. ცეცხლის გაჩენის წინადღით მოვიდნენ გამდლითა და ბავშვით, და მხოლოდ ერთმა თუ ორმა მათმა მნახველმა ვაჭარმა იცოდა მთელი ოჯახის დაღუპვის ამბავი.

ამ საყოველთაო უბედურობის და დაქცევა-გალატაკების დროს დაიღუპა, როგორც ფიქრობდნენ, მთელი ოჯახი, დაინგრა აგრედვე მშვენიერი ძველი სახლიო. რის შემდეგაც მხოლოდ ჩამონგრეული სვეტები ⁄ ბუხრის საკვამლეები დარჩა. ჩქარა ყოვლად შემძლებელმა მხატვარმა ბუნებამ სქელი ბუჩქნარით და ყვავილების ნოხით მორთო და ააყვავა საბრალო ნანგრევები და რკინის ჰიშკრიდან ყველა ცნობის მოყვარეს შეეძლო მშვენიერი მწვანეულობის მიხვეულ-მოხვეული ბილიკების ნახვა.

გაზაფხულზე პიტოსპორუმმა, რომელსაც უწინ ისე გულმოდგინეთ უვლიდნენ, თავისი ყვავილოვანი თეთრი ტოტებით კედლები მორთო. დაუცხრომელი ვენახი ალაყაფის კარებს თავს შემოევლო და თითქმის სულ დაფარა თეთრი ფიცარი, რომელზედაც შავის ასოებით ეწერა: „ისყიდება ან იძლევა ქირით“. ბევრი მზიანი და ბევრიც წვიმიანი დღე უნახავს ამ ფიცარს, მაგრამ ცეცხლში დაღუპულ დიდი სახლის უკან მდგარი პატარა სახლის დამქირავებელი არ აღმოჩნდა აგრედვე არც ეზოს მყიდველი, რომელიც ახლა ერთ საფრანგეთში მყოფ ნათესავის—უცნობ დეტრავას საკუთრებას შეადგენდა.

დრო გადიოდა და ბაღი მოუვლელობისაგან წლითი წლობით ვერანდებოდა. დიდის ხელოვნებით გაკეთებულ ყვავილნარსაც იგივე დღე ადგა. ბუჩქები ხეებად იქცნენ, ვარდმა და იასამანმა ყოველ მხრივ ტოტები გაიწოდა და ყველაფერს შემოეხვია, რის შემოხვევაც შეიძლებოდა. ხშირი ფოთლებისაგან დაბნელებულ ხეებზე უთვალავი ჩიტები ბუდეებს აკეთებდნენ და ბარტყებს სჩეკდნენ. ძველი ბაღი ჯერ კარგი იყო, მაგრამ შავი ღრუბელი დასწოლოდა თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე; ჯერ არ იყო დავიწყებული იმ საბედისწერო ღამეს მომხდარი საშინელი დრამა. საშინელი ხმები დადიოდა იმ უბანში ეზოს შესახებ და იმ არე მიდამოში ყველა იმ აზრისა იყო, რომ ძველი ბნელი ალაყაფის კარები და პირქუში ლომები რაღაც საშინელ საიდუმლოს ინახავენ, ამიტომ საეჭვო იყო რომ ვისმეს გაებედა იმ უდაბურ ალაგას პატარა სახლში დასახლება, რომელიც ყოფილ დიდების დროს სამოახლოს როლს ასრულებდა.

მაგრამ ერთხელ მეზობლებმა ხანში შესული კარგად ჩაცმული კვარტერონი ქალი დაინახეს, რომელსაც ხელ ჩაკიდებული მშვენიერი თეთრი ბავშვი მიჰყვებოდა; ისინი დეტრავას ეზოს კარებთან გაჩერდნენ. ქალი მშვენიერი სახის იყო, დაბალი, შავი კაბითა და ჭაღარა-შერეულ თავზე თეთრი თავსაფარით. ბავშვი ღარიბულად, მაგრამ სუფთად ჩაცმული, ზამბახივით თეთრი, ცოცხლად გამოიყურებოდა. ქალი დიდხანს იცქირებოდა ჭიშკრის მესრებში და როდესაც მობრუნდა და იმ ალაგს განშორდა, სახეზე ცრემლები ემჩნეოდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ ეზოს პირდაპირ სახლის მდგმურმა პატარა სახლის საკვამლიდან კვამლი შინიშნა. ცხადი იყო, რომ დეტრავას სახლი ადამიანებს ელირსა. ძველი ფიცარი სადღაც გაჰქრა და ჩქარა მის ალაგას სხვა ფიცარი გამოჩნდა შემდეგის წარწერით: „ყვავილები დასაფლავებისა და ქორწილებისათვის და ყვავილების ნერგები ისყიდება ხელმისაწვდომ ფასებში“.

გავიდა რამდენიმე დრო, სანამ მეზობლების ცნობ-ს მოყვარეობა დაკმაყოფილებული იქნა; როდესაც გაიგეს, რომ ახალი მდგმური ის კვარტერონი ქალია, რომელიც ამას წინად ეზოს კარებს მიადგა,—ყველას გაუკვირდა და ეწყინა. ბევრის ცდის შემდეგ მეზობლებმა ძლივს გაიგეს, რომ ქალს ტუანეტა ჰქვია, რომ ის ძლიერ დახელოვნებული მებაღეა და რომ ის არის მესვეური და გამდელი თეთრი ბავშვისა, რომელსაც ფილიპე ჰქვია. მეზობლებს ქალის ნახვა ძლიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი დიდხანს იცქირებოდა ჭიშკრის მესრებში.

იშვიათად შეეძლოთ ეზოს კარებში შესვლა-გამოსვლის დროს. ბავშვის ნახვა მხოლოდ შემთხვევით შეიძლებოდა, როდესაც ის მუხებისა და მაგნოლიებისაგან დაჩრდილულ გზებით დარბოდა და ან როცა რგვალი, ვარდივით წითელი სახით კარებს მოადგებოდა და დიდრონი, გაკვირვებული თვალებით ფართო, მტვერიან გზას გაჰყურებდა.

ქუჩის პატარ-პატარა კრეოლები ამაოდ სცდილობდნენ მისი მორცხვობის დაძლევას. მოჰკრავდა ბავშვი იმათ თვალს თუ არა, მაშინვე ბუჩქებში ან ვენახში დაიმალებოდა და მანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯდა იქ, სანამ დაუპატიჟებელი მეგობრები იქაურობას გაეცლებოდნენ.

ის ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე ბავშვი იყო; აღმერთებდა ჩიტებს და ყვავილებს; ყველა პირუტყვი მისდამი უსაზღვრო ნდობას გრძნობდა. მას ყოველთვის გარს ეხვია საყვარელი არსებანი. ასე გეგონებოდათ, თითქოს მათ შორის რაღაც იდუმალი კავშირი სუფევსო. ტუანეტას ზოგჯერ ეგონა რომ იმათ შორის არსებობს რაღაც მათთვის გასაგები ენა, რადგანაც, დაიწყებდა თუ არა ბავშვი სტვენას, მაშინვე ჩიტები მოფრინდებოდნენ და მისი ხელიდან საკენკს კენკავდნენ. ბავშვმა ძლიერ ადრე დაიწყო ფრინველთა და ნადირთა ხატვა და ტუანეტამაც მას ქაღალდი და ფერადების კოლოფი უყიდა და ძლიერ გაუხარდა, როდესაც კეთილი პატრის მამა ჟოზეფისაგან გაიგო, რომ ბავშვს ხატვის ნიჭი აქვსო.

როდესაც ტუანეტა მოხუცდა და ბავშვის სწავლება აღარ შეეძლო, მასწავლებლად მამა ჟოზეფი მოიწვია. ყოველ დილით საუზმის შემდეგ ექვს საათზე ბავშვი სამეცადინოდ მამა ჟოზეფთან გარბოდა, რომელიც ყოველთვის იმ დროს წიგნებით სავსე მაგიდას უჯდა და ყავას მიირთმევდა.

ფილიპეს მამა ჟოზეფი უყვარდა: მაგრამ ტუანეტას აღმერთებდა. რა იქნებოდა იმისთანა, რომ ტუანეტას მისთვის არ გაეკეთებინა და ბავშვიც უსაზღვრო სიყვარულით უხდიდა.

ცოტა წამოიზარდა თუ არა ფილიპე, სცდილობდა თავის შეძლების დაგვარად ეშველა მისთვის: ის რწყავდა ყვავილებს, რგავდა იას, აგროვებდა ჩამოცვივნულ ფოთლებს და უზომო მოთმინებით სწყვეტდა დამსკდარ იატაკის ჭუჭრუტანებიდან ამოსულ ბალახს.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ტუანეტამ ქუჩაში ყვავილების გაყიდვის ნება მისცა. ფილიპე მაშინ ექვსი წლისა იყო და იმ დროს თუმც აღარც ისეთი მორცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი იყო, როგორც ბავშვობისას, მაგრამ მაინც ახლაც პატარა ტყის ნადირს წააგავდა, რაც მას კიდევ უფრო მიმზიდველად ხდიდა: შეიძლება სელინას გულის ერთბაშად მონადირების მიზეზიც სწორედ ეს იყო.

ჩვეულებრივად ფილიპე დილ-დილაობით სამსახურში მიმავალ მოხელეებს აწვდიდა ყვავილებს. მას ბევრი მუდმივი მუშტარი ჰყავდა, რომელნიც ნათელ ღიმილისა და დილის ალერსიანად მისალმებაში იმდენსავე ფულს უდებდნენ ხელში, რამდენსაც ყვავილების ფასად. გაყიდდა თუ არა ყვავილებს, ბავშვი ქუჩა-ქუჩა როდი დახეტიალობდა. ტოროლასავით ბედნიერი, ტაუნეტასაკენ გარბოდა და ყვავილების მოვლა-გადარგვაში შველოდა.

ერთხელ ფილიპემ თავის „დედილოს“ დეას გაცნობის ამბავი გაუზიარა. კეთილი მოხუცი, გოგონას უნახავადვე სიბრალულით ალივსო და იმ დღიდან ბავშვს იმდენ საგძალს ატანდა, რომ ორივეს ჰყოფნიდა. ყოველ დღე, დაბრუნდებოდა ბავშვი სახლში თუ არა, იმას კი არ ჰკითხავდა—გაყიდე თუ არა შენ ყვავილებიო, არამედ მოახერხა თუ არა დეამ რომელიმე ქანდაკების გაყიდვაო.

VII

ძნელი კითხვა

იმ დღეს, დორესაც დეამ ქვაზიმოდო გაყიდა, ფილიპე ძლივს ელირსა დალამებას—ისე ეჩქარებოდა ტუანეტასთვის დეას ბედნიერების ამბავი ეხარებია; და დაიცალა თუ არა მისი ტაბაკი ყვავილებისაგან, ბავშვი ისარივით გაჰქანდა სახლისაკენ. მიუხედავათ იმისა, რომ ქუჩაში ბავშვები მას სათამაშოდ იწვევდნენ. ბავშვებს ფილიპე ძლიერ უყვარდათ და დიდის აღტაცებით ეგებებოდნენ.

ტრემოს ქუჩის კუთხეში მან ქუჩის ბიჭებ-შემორტყმული, თავზე ვედრო-დადგმული მახინჯი ზანგის ბიჭი დაინახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მეაგურეები მუშაობიდან ბრუნდებიან და ბიჭები ბილს აწვალებენ,—დაიძახა მან და მის ცისფერ თვალებში რისხვამ გაიელვა.—თუ მივაღწიე იქამდის,—მე ვაჩვენებ იმათ სეირს. და ერთი წამის შემდეგ ის ბავშვების გროვაში მარცხინთ თუ მარჯვნით სილას არიგებდა.

—ჰეი, თქვე ცულლუტებო, დაეხსენით ამ კუტს! რათ აწვალებთ, რატომ არ გრცხვენიათ? აბა, ბილ, აიღე ჩემი ტაბაკი და აქ მომე შენი ვედრო. ამ სიტყვებით თავზე მძიმე ვედროთი ფილიპე მეაგურე ბიჭებთან ერთად გზას გაუდგა.

როდესაც უჩვეულო ტვირთისაგან სახე-აწითლებული ფილიპე სახლში დაბრუნდა, სულს ძლივს იბრუნებდა, და მეტის მეტი მღელვარებისაგან თვალები უბრწყინავდა. თეთრი ყვავილებით დაფენილ მაგიდასთან აივანზე მჯდომი ტუანეტა მავთულების პატარა ცხვარს ცვილისაგან გაკეთებულ იასამნის ყვავილებს აწებებდა.

—ვისთვის აკეთებ, დედილო?—ოფლი მოიწმინდა და იკითხა ბანის მოაჯირზე მიყრდნობილმა ფილიპემ.

—პრიერის ქუჩაზე პატარა ბავშვისათვის. გუშინ საღამოს გარდაიცვალა. რატომ გაწითლებულხარ აგრე, ჩემო საყვარელო?—ჰკითხა ტუანეტამ.—რამდენჯერ მითხოვია შენთვის—ძლიერ ნუ ირბენ მეთქი.

—ვერ მოვითმინე; ისე ვეჩქარებოდი შინ მოსვლას; მინდოდა შენთვის შემეტყობინებინა, რომ დედამ ქვაზიმოდო გაჰყიდა.

და ფილიპემ სულ-დაუთქმელად ხან ფრანგულად და ხან ინგლისურად ტუანეტას იმ დღეს მომხდარი ამბავი უამბო.

—რომ იცოდე, დედილო: ის, სადაც სცხოვრობს, იქვე ნახატებს ხატავს. მე მთხოვა სანახავად მისვლა შეიძლება ხვალ წავიდე.

—რასაკვირველია, შვილო, შეიძლება!—სამუშაოსაგან თავის აუღებლად უპასუხა ტუანეტამ.—შეგიძლია წახვიდე, და თუ რამეს გასწავლის, ძლიერ მოხარული ვიქნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მასწავლის, მე ვიცი—მასწავლის! ძლიერ კეთილია! პირობა მოგვცა—ესმერალდასაც ვიყიდიო,—რწმენით სავსე კილოთი სთქვა ფილიპემ.

მთლად ცოცხალს არა ჰგავს?

— ძლიერ მიხარია საწყალი გოგოს მაგიერ,— სთქვა ტუანეტამ.

— შეიძლება ვივახშმო, დედილო? საშინლად მშია. გუმბო გააკეთე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ჩემო ძვირფასო; ყველაფერი მზად არის. ცოტა მოითმინე—ცხვარი გავათავო. ჩქარა მოიკითხავენ. მარტო თვალების გაკეთება ღა დამრჩა.

ამ სიტყვებით ტუანეტამ ყვავილის მუქი ფოთოლი ამოარჩია და წინდაწინვე გაკეთებულ თვალის ალაგას ხელოვნურად ჩასვა.

— მთლად ცოცხალს არა ჰგავს?—ჰკითხა მან და ცხვარი აღტაცებით მაღლა ასწია.—რა თეთრია!

— არ ვიცი,—სთქვა ფილიპემ,—და ცოტა გვერდზე თავის დახრით კრიტიკული თვალით გადახედა.—მე კი ცოცხალი ყვავილები უფრო მიყვარს.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა და ფილიპე კარის გასაღებად გაეშურა. ცხვარისათვის მოახლე გამოეგზავნათ.

— ქალბატონს ძლიერ მოეწონება,—სთქვა მან და შავად მოელვარე სახეზე ცრემლი მოიწმინდა.—იმან ჯერ არ იცის, რომ ცხვარი შეკვეთილია; ეს ვაჟბატონის განკარგულებაა.

ტუანეტამ ცხვარი გასანთლულ ქალალდში შეახვია და ფრთხილად კალათში ჩასდო.

— ახლა კი, ჩემო შვილო,—სთქვა ტუანეტამ, როდესაც მოახლე წავიდა და კალათში ისე იყურებოდა, თითქოს იქ ცოცხალი არსება უძევსო,—შენ გაიქეცი, კარები დაკეტე, და მე ვახშამს მოვამზადებ.

ტუანეტამ შეაგროვა მაგიდაზე დირჩენილი ყვავილები და თეთრი სუფრა გაშალა, შემდეგ უმაგალითო სუფთა სამზარეულოდან ცხელ-ოხშივარიანი გუმბოთი სავსე ჯამი, მოხარშული ბრინჯი, დაშაქრული ნამცხვრები და დოქით რძე გამოიტანა.

სანამ ტუანეტას ვახშამი გამოჰქონდა, ფილიპე თავის საწოლ ოთახში შევიდა, რომელიც იმათი ერთად ერთი სასტუმრო ოთახის გვერდით იყო. სამზარეულოში გავლის დროს მან სიყვარულით გადახედა იქაურობას, ისე სუფთა და დალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებული იყო ოთახი. სასტუმრო ოთახის კედლები თითქმის მთლად მავთულების ნიმუშებით იყო დაფარული; ამ ნიმუშების დაგვარად დაწნულ ფიგურებს ქორწილი ან ტირილი უნდა დაემშვენებია. აქ იყო: ქნარი, გვირგვინები, ვარსკვლავები, ნახევრად ღია კარები, ოთხყურა ოინჯა, ცხვარი, მტრედები და სხვა. აქა-იქ ნიმუშებში ერია თეთრი უკვდავას გვირგვინები, რომლებზედაც ნათლათ ჩანდა წითელი წარწერები: „ჩემ შვილს“, „საყვარელ დედას“, „ილოცეთ ჩვენთვის“ და სხვა. კრეოლები ხშირად ყიდულობდნენ ამგვარ გვირგვინებს და ამიტომ ტუანეტას რამოდენიმე ყოველთვის მზად ჰქონდა. ფილიპეს გავლის დროს ამ ოთახში საღამოს მზემ შამოიჭვრიტა და ყველა ეს ნუმუშები ვერცხლის ფრად ააპრიალა. სხივებმა თეთრი კედლები, აგურის წითელი იატაკი და უბრალო უფერული ავეჯი ისე გაანათა, რომ იქაურობა ლამაზად მოკაზმულ ოთახად აქცია.

გარედ უკვე ბნელოდა და ციოდა და ეს უკანასკნელი სხივი და თბილი ფერები ბნელასთან შედარებით სასიამოვნო განსხვავებას წარმოადგენდა. ფილიპეს ამგვარი სურათები უყვარდა. მისი მხატვრული ბუნება მათი ხილვით განცხრომას განიცდიდა. ამას გარდა ეს იყო ერთად-ერთი სახლი, რომელშიაც ის აღიზარდა და კარგად იცნობდა. ამ მხრივაც ის მისთვის ძლიერ ძვირფასი იყო.

ის შევიდა თავის ოთახში და ერთის გადახედვით თვალი მოავლო კოლოებისაგან დასაცველად ფარდა-გადაფარებულ, თოვლივით თეთრ ლოგინს, ფანჯარასთან ვარდის ყვავილებით მორთულ მაგიდას, რომელზედაც მისი წიგნი და ასპიდის დაფა იდო,—და თავის პატარა გულში თავმომწონედ გაიფიქრა, რომ ქვეყანაზე უკეთესი კუთხე არ მოიძებნებოდა. ფანჯრის წინ ტოტზე შავი ჩიტი ხტოდა და ჭიკჭიკობდა. პირის დაბანის და თმის დავარცხნის დროს ფილიპემ ჩიტივით დაიჭიკჭიკა, შემდეგ თაროდან წიგნები ჩამოიღო და ბანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა, სადაც მას ტუანეტა უცდიდა. ვახშმის შემდეგ ტუანეტა გაკვეთილის მოსასმენად მოემზადა.

— დედილო,—წიგნის ფურცლვით ალერსიანად დაილაპარაკა ფილიპემ,—საშინლად დავიღალე. შეიძლება დღეს გაკვეთილი არ მოვამზადო?

— არა, არა!—მკაცრად უპასუხა ტუანეტამ.—მისულხარ როდისმე მამა ჟოზეფთან გაკვეთილ-მოუმზადებელი? დაიწყე, ჩემო მტრედო! მე ჯერ კიდევ სამუშაო მაქვს, შენ კი გაკვეთილის სწავლა გესაჭიროება. კმაყოფილი იყო დღეს მამა ჟოზეფი შენი გაკვეთილით?

— დიახ, დედილო, ძლიერ კარგად გაგიკეთებია გარჩევაო. მაშ გაკვეთილის მოუმზადებლობა არ შეიძლება? კარგი. დავიწყებ.

ფილიპემ დინჯი სახე მიიღო და აკანკალებული ხმით „მამაო ჩვენო“ წაიკითხა. როდესაც კითხვა გაათავა ტუანეტამ თავის დახრით „ამინ“ წარმოსთქვა. შეასრულა თუ არა ეს საპატიო ვალდებულება, ფილიპე წიგნებით ხელში კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და გაკვეთილის სწავლას შეუდგა. ტუანეტამ მაგიდა დაალაგა და ისიც საოჯახო საქმეში გაერთო. ცოტა ხნის შემდეგ მან ფილიპეს შეხედა.

ბავშვს წიგნები ფეხებთან გაებნია და ნიდაყვზედ დაყრდნობილი იჯდა, ერთხელ კიდევ შეხედა ბავშვს, ის ძლიერ დაფიქრებული იყო. რაზე ფიქრობდა ეგი? ტუანეტა ერთბაშად მოიხარა. როგორლაც დაპატარავდა, და როდესაც თესლის რჩევა დაუწყო, ხელებში კანკალი აუვარდა.

რამდენი ხანია მას მოსვენებას ირ აძლევს ერთი გარემოება: ბავშვმა უეცრად რომ იკითხოს—სად არიან მისი მშობლები? ახლა ღამის მკრთალ სინათლეში ბავშვი მას უფრო დიდი ეჩვენა, და გულმა უგრძნო, რომ ახლა დადგა ეს წამი. ამ დროს ბავშვმა თავი მაღლა აიღო, ტუანეტას დინჯი თვალები მიაპყრო და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედილო, იმ კაცმა დღეს მკითხა—ცოცხლებია ჩემი დედ-მამა, თუ არა. ცოცხლებია?

ტუანეტა გაფითრდა, ბავშვის შემკითხავ თვალებს თავი მოარიდა.

— არა,—უპასუხა მან აკანკალებული ხმით,—არა, ჩემო შვილო, შენ დაჰკარგე ისინი იმ დროს, როცა ჯერ კიდევ რამოდენიმე თვისა იყავი.

— იმან კიდევ ჩემი გვარი იკითხა. მაქვს გვარი?

—რასაკვირველია გაქვს,—ძლივს წაიბუტბუტა ტუანეტამ,—მაგრამ ამას რისთვის გეკითხებოდა? ეს კითხვები სრულებით არ არის საჭირო ისეთი პატარა ბავშვისათვის, როგორიც შენა ხარ.

— არა, დედა, მე აღარც ისე პატარა ვარ. მე ახლა ამაზე ვფიქრობ, რომ ყველა ბავშვს ორი სახელი აქვს. ასე გასინჯეთ, პატარა ბილსაც ორი სახელი აქვს—ბილ ბრაუნი, მე კი მხოლოდ ტუანეტას ფილიპე!—სევდის ღრუბელმა მოიცვა ტუანეტას სახე; მაგრამ ერთი წუთის დუმილის შემდეგ იმან სასტიკად და გაბედულად დაილაპარაკა:

— თავი დაანებე ამ კითხვებს. მოვა დრო, და შენც გაიგებ. მე თუ აღარ ვიქნები, ყველაფერს მამა ჟოზეფი გაგაგებინებს. შენი ქალალდები იმასთან ინახება, და როცა გაიზრდები—მიიღებ მისგან. ახლა მეტი არაფრის თქმა შემიძლია, მაგაზე ფიქრი დაივიწყე და გაკვეთილებს შეუდექი, თორემ ხვალ მამა ჟოზეფი უკმაყოფილო დარჩება.

ფილიპემ წიგნი აიღო და ყურება დაუწყო, მაგრამ შიგ ვერაფერს ხედავდა. მის გულში საშინელმა ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა, ტუანეტამ კი არ დააკმაყოფილა იგი.—შეიძლება მამა ჟოზეფმა მითხრას რამე,—გაიფიქრა მან და გადასწყვიტა მეორე დღესვე გამოეკითხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VIII

მოქანდაკე

მიირბინა თუ არა დედამ ვილერის ქუჩაზე პატარა სახლთან, სადაც გაატარა უმეტესი ნაწილი თავისი მწუხარებით სავსე ცხოვრებისა, ჭრიალა ალაყაფის კარები გააღო და ჰომოს თანხლებით ჩქარა აგურით მოგებული ეზო გაირბინა.

— მამა, მამილო!—კარების ჯუჯრუტანაზე ტუჩებ-მიდებული ეძახოდა ის.—მე ვარ, დედა, გამიღე ჩქარა კარები!

რამოდენიმე წამს მოუთმენელი ლოდინის შემდეგ გაისმა ფრთხილი, ნელი ფეხის ხმა და დედამ გაიგონა როგორ გადააბრუნა აკანკალებულმა სუსტმა ხელმა გასაღები; კარი ნელა გაიღო და შიგ გაფითრებული, თვალებ-ჩაცვივნული, თმაჩეჩილი და წვერებ-მოშვებული სახე გამოჩნდა.

— მამა, ჩემო საყვარელო მამა! აბა შემომხედე—რა მოვიტანე!— კარებსა და მამის შუა მარჯვედ გაძვრა და წარმოსთქვა დედამ.—ქვაზიმოდო გავყიდე და საჭმელი მოგიტანე.

მამამ გაოცებული სახე მიაპყრო. შუბლზე ხელი მიიდო ფიქრების მოსაგროვებლად და ხსოვნის გასაღვიძებლად.

გოგონა ჩქარი სიარულისაგან სულს ძლივს იბრუნებდა, მაგრამ კარები დაკეტა, კალათი იქვე იატაკზე დასდგა და დარაბების გასაღებად გაეშურა, რადგანაც ოთახში საშინლად ბნელოდა. შემდეგ ქალალდებითა და დაუთავებელი ქანდაკებებით სავსე მაგიდასთან სავარძელი მიიტანა, მაგიდის ერთი კუთხე გაანთავისუფლა და ზედ ხელსაწმენდში შეხვეული, სელინასაგან მოცემული მოსაკითხი დასდო. დაამზადა თუ არა ღარიბული საუზმე, მიბრუნდა, ორივე ხელი მამას მოჰხვია, მაგიდასთან მიიყვანა და ფრთხილად სავარძელში ჩასვა.

მამა ცოტა ხანს საჭმელს უცქეროდა და გამხმარ ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ჩემია?—წყნარად იკითხა მან.

— დიახ, მამა, შენია, ყველა შენია.

— არა, არა, შენ თვითონ უნდა სჭამო, დეა! შენ თვითონ მშიერი ხარ!

— მე უკვე ვსჭამე, მამა! ეს შენია, სინჯე—რა გემრიელია,—არ სცხრებოდა ბავშვი. საჭმელის ერთი საუკეთესო ნაჭერი მამის წინ ხელში ეჭირა.

— არა მშია; არ შემიძლია ჭამა. მე ისე ავად ვარ, რომ ჭამა არ შემიძლია.

— სინჯე, საყვარელო მამა, სინჯე! მე ეს შენთვის ვიყიდე; ქვაზიმვდო გავყიდე. შეხედე მამა—აი, ფულები!

ბავშვმა მამას ყელზე ხელები მოჰხვია და ფული დააანახვა.

— ეს განა სასწაული არ არის? აბა შეხედე, ხუთი დოლარი—ოცდახუთი ფრანკია? ჩვენ დღეიდან მშიერი აღარ ვიქნებით. გაიღვიძე, საყვარელო და ძვირფასო მამა! ნურასფერზე ნუ იფიქრებ, საჭმელი სჭამე, და ყველაფერი კარგად წავა.

დეამ მზრუნველობით სავსე სახე მამას თავზე მიაყრდნო და სიყვარულით კოცნა დაუწყო.

მამამ ცოტა ხანს ფულს უცქირა და შემდეგ ჟრჟოლა დააწყებინა.

— ის აღარ არის,—დაიკვნესა მან ბოლოს:—მე იმაზე დღედა-ღამე ვმუშაობდი. ის იყო საუკეთესო ქანდაკება, რომელიც მე როდისმე შემიქნია, და აი ეს ცოტა ფულია—ყველაფერია, რაც მის შემდეგ დარჩა.

— ოჰ, მამა!—ნაზი თანაგრძნობით დაიძახა ბავშვმა:—ნუ იფიქრებ მაგაზე! შენ შეჰქმნი სხვას, იმაზე უკეთეს საგანს. იფიქრე ჩემზე, იხარე და იცოცხლე ჩემთვის! მე მიყვარხარ, მამა, ძლიერ მიყვარხარ! სცადე ჭამა, სცადე! აი, გემრიელი პური, და აი, შენი საყვარელი ყველი.—დეა პატარა-პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკმებად სტეხდა და, როგორც ავადმყოფ ბავშვს, ალერსით პირში უდებდა.

ოჰ, მამა, ნუ იფიქრებ მაგაზე.

მამა უარს არ ამბობდა და მორჩილებით, მაგრამ ეტყობოდა, სრულებით უხალისოდ, სჭამდა. როდესაც ჭამა გაათავა, დედამ ნამცეცები ჰომოს აჭამა, რომელიც ყველაფერს დიდ ყურადღებით უცქეროდა. ძაღლს თითქო უკვირდა, როგორ შეიძლება საჭმელზე უარის თქმაო. შემდეგ დედამ ვახშმის გადანარჩენი თეფშზე დასდო და ხვალისათვის შეინახა. მაგიდა დაალაგა და თავის ოთახში შევიდა. მოიხსნა თავსაფარი, ყელსახვევი და დიდი წინსაფარი გაიკეთა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელმაც მისი კაბა სუმთლად დაფარა. ტანზე დედის კაბა ეცვა და ძლიერ უფრთხილდებოდა. წინ-საფარში გამოწყობილი შეუდგა ის დიდი ხნის დაულაგებელ ოთახების დაწმენდას. გოგონა ისეთი სუსტი და პატარა იყო, რომ მის ხელში ცოცხი უზარმაზარი ჩანდა, მაგრამ ის დიდის ხელოვნებით ხმარობდამას. იატაკი დაჰგავა, მაგიდიდან მტვერი გადაფერთხა და ყველაფერი დიდ სიფაქიზით ისევ თავთავის ალაგას დასდო. შემდეგ ისევ ოთახში დაბრუნდა, სადაც მამა იჯდა და დაღონებული ისევ ფულს მისჩერებოდა.

— მომეცი, მამა, ფული — შევინახო. ხვალ ვიყიდი ყველაფერს, რაც საჭიროა, — სთქვა დეამ. — მინდა ახლა შენი მაგიდა დავალაგო და გავასუფთაო.

მოქანდაკეს მრავალი სხვა-და-სხვა, ყდაში ჩასმული წიგნი ჰქონდა: ტყავის, ტილოს, ქაღალდის და ზოგიც სრულებით უყდოთ. იმათ შორის იყო დიდი წიგნები და პატარებიც, სქელი და თხელი, ძველი და ახალი, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ ყველა წიგნების პირველ ფურცელზე ვიქტორ ჰიუგო ეწერა. რამდენიმე წიგნი პარიზში დასურათებული გამოცემა იყო და ეს ნახატები დაედო ნიმუშებად ზოგს მის ქანდაკებებსა და ეტიუდებს, მაგრამ მრავალი ეტიუდები თვითონ ჰქონდა დახატულ-გამშვენიერებული და ყველა დიდის ნიჭით და ხელოვნებით შესრულებული იყო. კუთხის მაგიდაზე ჩარჩოებში, შუშის ქვეშ რამოდენიმე ტურფა სურათი და კედელზე რამოდენიმე მედალიონი ეკიდა მშვენიერ ქალის სურათით და მრავალი ეტიუდები ბავშვისა, რომელიც დეას წააგავდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ ეტიუდების საგანი დეას დედა იყო.

მაგიდის დალაგების და წიგნების გაფერთხის დროს დეა დაუცხრომლად ელაპარაკებოდა მამას ტკბილი, ალერსიანი ხმით. პირველად მამა ლაპარაკს ყურს არ უგდებდა. მაგრამ სახე თან-და-თან მოეწმინდა და გულდასმით დაუწყო ყურის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გდება. დრო-გამოშვებით შუბლზე ხელს ისვამდა, თითქოს რაღაცა სდევნის, რასაც მისი გონების დაჩრდილვა სწადიაო. ცხადი იყო—დეა ერთსა და იმავეს განმეორებით გულში მწუხარების აჩრდილს უქრობდა და აიძულებდა მისთვის ყური დაეგდო.

— მიხვდი თუ არა, საყვარელო მამილო!—დაბეჯითებით ეკითხებოდა ბავშვი,—ხვალ ის კაცი ესმერალდას იყიდის; მაშინ ჩვენ ორმოცდაათი ფრანკი გვექნება, და ორმოცდაათი ფრანკი დიდხანს გვეყოფა. სადილად კატლეტები და სალათა გვექნება და მოხუც სიუზეტასაც შეუძლია იაროს ჩვენსა სამუშაოდ.

— ორმოცდაათი ფრანკი! დარწმუნებული ხარ, დეა, რომ ჩვენ ორმოცდაათი ფრანკი გვექნება?—გააწყვეტინა სიტყვა ცოტათი დაინტერესებულმა მამამ.—ამ შემთხვევაში ფერადების ყიდვაა საჭირო. ულტრამარინი სულ გამომელია და ვარდის ფერიც ცოტაა. ზოგი ქანდაკების დაფერადებას შეუდექი და ფერადები არ იკმარებს.

—ფერადები გექნება, მამა! ხვალვე გიყიდი. დღეიდან ყველაფერი გექნება, რასაც კი მოისურვებ,—თავმომწონედ ამბობდა დეა.

—ყველაფერი, რასაც მოვისურვებ? შენ გგონია? მაშ მე შემიძლია ვიყიდო „კაცი, რომელიც იცინის“, ჰაშეტის გამოცემა? იმაში მშვენიერი ილიუსტრაციებია, რომლების გადაღებასაც ვაპირობ.

დეას სახე დაულონდა და ხმა უკანკალებდა, როცა უთხრა:

—არ ვიცი, მამა, ვნახავ, ვიკითხავ მთავრის ქუჩაზე წიგნის მაღაზიაში. თუ ძლიერ ძვირად არ ღირს, ვეცდები ვიყიდო.

—ეს გამოცემა ორმოცდაათი ფრანკი ღირს,—ოცნებით ჩაილაპარაკა მხატვარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საყვარელო მამა! ჩვენ არ შეგვიძლიან ყველა ფულების წიგნში მიცემა, როდესაც პური არა გვაქვს.

— ორმოცდაათი ფრანკი, ორმოცდაათი ფრანკი!—საცოდავად იმეორებდა ის,—მე არ შემიძლია ვიყიდო ჰაშეტის გამოცემა!

— იყიდი, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ. ჩვენ ჩქარა გავმდიდრდებით.—გამიგონე, მამა, რა გითხრა: ის კეთილი კაცი, რომელმაც ქვაზიმოდო იყიდა, მხატვარია; ის ცვილის ქანდაკებას კი არ აკეთებს—ხატავს. ფულებს დამპირდა, თუ ვივლი მასთან და გაუჩერდები სურათის დასახატავად.

— შენი წასვლა იქ, დეა, ირ შეიძლება,—გადაწყვეტით წამოიძახა მამამ.

— ის ფულს მომცემს და წიგნის ყიდვა შემეძლება.

— თუ კი ამით ჰაშეტის გამოცემის ყიდვა შეგვეძლება, იმ შემთხვევაში—ბატონი ბძანდები.

დეამ პირი მიიბრუნა და გაიღიმა.

— საწყალი მამა! — გაიფიქრა მან,—ვიქტორ ჰიუგოს წიგნის შესაძენად ყველაფერზე მზად ირის.

— გამიგონე, მამა,—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა დეა და მამას გამხდარ ხელზე ალერსით ეფერებოდა:—ნებას მისცემ მხატვარს აქ ნახოს შენი ნაშრომი—ჯგუფები? შეიძლება რომელიმე მოეწონოს და იყიდოს. ჯგუფი ხომ უფრო ძვირად ღირს, ვიდრე ერთი რომელიმე ქანდაკება. შეიძლება ნახოს?

— აქ, დეა? აქ, ამ სახლში, სადაც მე დამარხული ვარ? აქ, გარეშე კაცი! მე კი ისეთი ავადმყოფი და დაგლახაკებული ვარ! არა, არა შვილო, შენ უჭკუო ხარ, შენ შეუბრალებელი ხარ! შენს გარდა მე კარს არავის გაუღებ!—ისე აშფოთებით და მოუსვენრად იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს ამ წუთში გარეშენი შემოცვივიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამშვიდდი და მაგაზე ნულარ იფიქრებ, საყვარელო მამა,—ამშვიდებდა ბავშვი.—შენ თუ ნებას არ მისცემ, ის აქ არ მოვა. ჯგუფებს იქ მიუტან. კარგად ჩამიწყვე კალათში და სახლში მიუტან.

— რასაკვირველია შენ იქ მიუტან; ახლა კი წავალ სამუშაოს გასათავებლად.

არაჩვეულებრივი სიჩქარით მოამზადა მან ბნელ-აბაჟურიანი ლამპა, აიღო სანთელი და საჭირო იარაღები და გამადიდებელი შუშით ხელში მაგიდას მიუჯდა.

ავადმყოფობის მიუხედავად, ის ლამაზი, ახოვანი და კარგი შესახედავი კაცი იყო: სახე-გაბრწყინებული, მიხვრა-მოხვრა ნაზი და დარბაისლური. იმ დროს, როცა ის უხმოდ და ხელმარჯვედ მუშაობდა, მაგიდაზე დაყრდნობილი, დეა თავმომწონედ და სიყვარულით შესცქეროდა.

დალამდა. დეამ ფრთხილად დარაბები დაჰხურა და მისი ოთახის გვერდით მამის ოთახში შევიდა. ლოგინი გაუსწორა, კოლოებისაგან დასაცავი ბადე გადააფარა და პატარა მაგიდაზე დოქით ცივი წყალი დასდგა.

„საწყალი მამა,—ოთახში სიარულის დროს მოზრდილ ქალივით ფიქრობდა ის.—შეიძლება ეს ღამე მაინც დაიძინოს და წუხანდელივით მთელი ღამე არ იაროს და იკვნესოს. უნდა უყიდო წიგნი. ისე გაეხარდება!“

დაუმზადა თუ არა დეამ მამას, რაც საჭირო იყო, მასთან გამოსათხოვად მივიდა, აკოცა და მზრუნველობით უთხრა:

— დიდხანს ნუ იმუშავებ, საყვარელო მამა, ეცადე ამაღამ გამოიძინო. ხომ კარგი?

— შენ კეთილი ბავშვი ხარ, დეა,—დაბნეულად, კოცნით უპასუხა მამამ.—წადი—დაიძინე და ჩემთვის ნუ სწუხარ. ახლა უნდა ვიმუშაო, შემდეგ კი—შემდეგ—ბატონი ბრძანდები—დავწვები და დავისვენებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამოდენიმე საათის შემდეგ, როდესაც დეას მაგარი, ბავშვური ძილით ეძინა, მის ოთახში მამა ფრთხილად შევიდა, დახედა მის წყნარ სახეს და ბავშვის ლოგინთან გაწოლილ ჰომოს, აიღო თავისი შავი სამგლოვიარო ქუდი, დაკეტა სახლი და მყუდრო მთვარის შუქ-მოფენილ ქუჩაზე გავიდა.

დათიკო ანთაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძველი რუსეთი და რევოლიუცია

უშინდელი დღე რუსეთის ცხოვრებისა მეტად შავი იყო, მეტად უიმედო. თითქოს რაღაც ჭაობში ვცხოვრობდით, სადაც ჰაერიც მოწამლულია და ათასგვარი ქვემძრომები ნავარდობენ და ბატონობენ. მეტად სევდიანი რამ სულისკვეთებით ვიყავით შეპყრობილნი. ჩვენ სიცოცხლე გვინდოდა ადამიანური, მაგრამ ამის ნებას არ გვაძლევდნენ; ჩვენ ადამიანურ ენით გვსურდა მეტყველება, მაგრამ სასტიკი ცენზორი გვიკრძალავდა უჯიათოდ; გვინდოდა ჩვენი ერის აღორძინება სხვა ერთა შორის, მაგრამ წინააღმდეგ, ძველი მთავრობა სცდილობდა რაც შეიძლებდა მალე ჩვენს მოსპობას. ვიდექით და უსასოოდ შევსცქეროდით იმ წესწყობილებას, რომლის დიდ სიმძიმის შვეშ კვნესოდა სრულიად რუსეთის მოქალაქეობრივობა. შევსცქეროდით და ვფიქრობდით, თუ როდის მოეღებოდა ბოლო იმ თილისმის ყავარჯნებს, რომლებზედაც ეყრდნობოდა ავ-სული და უწმინდური მთავრობა ძველი რუსეთის იმპერიისა.

როგორ შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, რომ მალე მოეკვეთებოდათ ფეხი, რომ მალე დაემხობოდა ის ტახტი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელზედაც იყვნენ გამაგრებულნი, და ასე ძალა-გამოლეულნი უწინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობისა, ამიტომ ამ მეფობის და ბატონობის შესარჩენად საჭირო იყო ხალხის იმ დონეზე ჭერა, სადაც რაიმე განიერობაზე და განსჯაზე საუბარი არ შეიძლება. და აკი ასეც იქცეოდნენ.

ამაზე ქვემოდ გვექნება საუბარი.

საფრანგეთში რევოლიუცია მოხდა 1789 წ. მაშინ იყო გამზადებული და აღიარებული ადამიანის და მოქალაქის უფლებები, რაც საფუძვლად დაედო მთელი ევროპის განმათავისუფლებელ მოძრაობას. მაგრამ ის, რაც სხვაგან მალე იქნა მიღებული, რუსეთში სასტიკად იქნა უარ-ყოფილი, და ეს რუსეთის გაუნათლებლობით იხსნებოდა. ჯერ ისევ ეკატერინე II-მ შეიძულა საფრანგეთის რევოლიუცია და მთელ თავის სიცოცხლეში წყევა-კრულვით იხსენიებდა. მან ისეთ დონეზე დააყენა რუსეთი, ისეთი სალტები შემოუჭირა სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, ისე შეავიწროვა ქვეშევრდომნი, რომ ალექსანდრე I-ის თავისუფლებით გატაცება ხალხს ბავშობად ეჩვენა და მეოცნებეს სახელით მონათლა. ბოლო კი ის იყო, რომ თავისუფლების მოტრფიალე მეფე მალე დამარცხდა ცხოვრების მეერ და იყუჩა. ოცნება ვერ განხორციელდა.

ნიკოლოზ I-ის მეფობა ყველაზე დუხჭირი ხანაა მეცხრამეტე საუკუნეში. ყოველგვარი თაოსნობა იდევნებოდა სასტიკად, მონობა და ბატონობა დაკანონდა უმაღლესად. მთელი ცხოვრება ბრმა მოხელეებს ჩააბარეს, რომელნიც უაზროდ ჰმოქმედობდნენ უფროსთა ჩვენებით. ყველაფერი წესიერად გახლავთო,—აი რა ეკერათ იმათ პირზე. სინამდვილეში კი ყველაფერი ცუდად იყო. თვითნებობა და სიმკაცრე, კანცელარიის საიდუმლოება და ხიშტის ძალაზე დამყარებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რწმენა, თაოსნობის და შემოქმედების მკვლელობა და გაუნათლებლობის დაკანონება,—აი რა შეჰქმნა ნიკოლოზ პირველის რკინის მმართველობამ. ამ დროს იყო, რომ სახალხო განათლების მინისტრი უვაროვი სწერდა: რუსეთი ჯერ ყრმაა, უბიწო, და არ უნდა იგემოს სისხლ-ნარევი განგაში. (ე. ი. რევოლიუცია,) თუ შევძელი, 50 წლით უკან დავსწევ რუსეთს, რომ დავაშორო იმას, რასაც თეორიები განუმზადებენ, და შემდეგ კმაყოფილი გარდავიცვლები, მოვალეობა—შესრულებულია.

აი ასე, ჟანდარმებად ქცეული მინისტრები წინ-წაწევის მაგიერ უკან სწევდნენ რუსეთის ცხოვრებას და ამრავლებდნენ ყოველგვარ ბოროტებას, რაც ამ გაუნათლებლობას სდევს ხოლმე ყოველთვის. გუბერნატორების და პოლიცმეისტრების ბნელი გონიერება ყველგან შეიჭრა, და უნივერსიტეტებშიც კი ისეთ რამეს ასწავლიდნენ, რაც პირდაპირი დათრგუნვაა მეცნიერების, რაც აბუჩად აგდებაა ჭეშმარიტების.

მიდიოდა დრო... მაგრამ ისე კი არა, რომ ამგვარ წყობილებას მტერი არ გამოსჩენოდა,—უამისობა შეუძლებელია. თვით ცხოვრება საზოგადოდ წინააღმდეგობათა ჯამია. ერთი მოვლენა უსათუოდ ჰპოულობს მოწინააღმდეგეს; იმართება მათ შორის ბრძოლა, და რომელიმე მათგანი რჩება გამარჯვებული. რუსეთის მეფეთა თვითნებობასაც გაუჩნდნენ მტრები, ე. წ. „ახალი ხალხი“, რომელიც საფრანგეთის რევოლიუციამ აღზარდა და უკმაყოფილების მოციქულებად გამოგზავნა სამშობლოში. 1825 წლის 4 დეკემბერს პირველად სცადეს რუსეთში სამხედრო ამბოხების საშუალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემყარებინათ ან ფედერალური რესპუბლიკა, ან და კონსტიტუციური მონარქია.

ამბოხების მეთაურებს დეკემბრისტები ეწოდებათ, რადგან ეს ამბავი დეკემბერში მოხდა. მაგრამ მათ ჭაბუკურ აღფრთოვანებას მთავრობის უხეშმა ძალამ ცეცხლი გაუნელა და მათი ბელადნი: პესტელი, რილეევი, მურავიოვი, ბესტიუჟევი და კახოვსკი ჩამოაღრჩვეს, 116 კაცი ციმბირ-კატორღაში გადაჰკარგეს, მაგრამ ამგვარი სისასტიკე განა ჩაჰკლავდა ერის მეთაურების ამბოხებულ სულს? განა გონიერი რუსეთის მახვილი აზრი ამით დაყრუვდებოდა? რასაკვირველია—არა. თუმც ფარულად, მაინც ცოცხლად და ძალუმად სწარმოებდა მუშაობა ცხოვრების გასაახლებლად, რუსეთის უკმური სინამდვილის გარდასაქმნელად. რადგან რუსეთში მეტად ძნელდებოდა ამგვარი ფარული მუშაობა, ამიტომ მოქმედება საზღვარ გარედ გადაიტანეს და შვეიცარიაში—ციურიხსა, ლონდონსა და ჟენევაში იწყეს მზადება და მუშაობა ისეთმა დიდმა რევოლიუციონერებმა, როგორიც იყვნენ ლავროვი, გერცენი და ბაკუნინი. მიზანი ერთი იყო: შექმნა რუსეთის რევოლიუციისა. ამისათვის საჭირო იყო ახალგაზრდათა შეგნებულ რაზმის დამზადება, რომ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და ახალი სხივი შეეტანათ მშობელ ერის შავბნელ სინამდვილეში.—„უნდა ვებრძოლოთ მთავრობას, არსებულ წესწყობილებას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდიო“,—აი რა გადაწყვეტილებით მოაშურეს რუსეთს ურჩმა შვილებმა. რევოლიუცია მთებს იქით კი არ ეგულებოდათ. საჭირო იყო მხოლოდ მუყაითი მუშაობა, ხალხის გათვითცნობიერება, და აკი მე-70 წლებში იწყეს კიდეც ხალხში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიარული, რომლითაც დიდი ამაგი დასდეს საზოგადოდ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

1901 წლის დასაწყისი—ეს თარიღია ახალი ხანის, როდესაც ცხოვრებამ გეზი შეიცვალა, როდესაც მთავრობის ძალა შესუსტდა, და მის მიერ ნახმარი საშუალებანი უფრო მეტად იწვევდა ხალხს ამბოხების გზისკენ. 1901 წ. 4 მარტს მთავრობამ ყაზანის მოედანზე პეტროგრადში ამოაწყვეტინა მეამბოხენი. მწერალთა ფურცლები მოედო მთელ რუსეთს და დიდი ღელვა შეიტანა ხალხში. მოსკოვში არაჩვეულებრივ გაიზარდა ქუჩის მოძრაობა. მუშათა მოძრაობამ ზრდა იწყო. სოფელშიც შეჩოჩქოლდა ხალხი. ყველამ იწყო სახსნელი გზის ძიება. ამ მიზნის გარშემო შემოიკრიბნენ უნივერსიტეტიდან გამორიცხული სტუდენტი, გადასახლებული მუშა, სოფლის მასწავლებელი და გლეხი. რუსეთ-იაპონიის ომმაც ხომ დიდად შეუწყო ხელი ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ომის აუარებელმა ხარჯებმა მეტამ მკაფიოდ დაუხატა ხალხს მთავრობის დამღუპველ პოლიტიკის სურათი. მდგომარეობა კი ისეთი იქმნებოდა, თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო, თითქოს რაღაც დიდ მოვლენას უმზადდებოდა ნიადაგი. 1905 წლის 9 იანვარს მოხდა დიდი მოძრაობა. მღვდელი გაპონი გაუძღვა დამშეულ ხალხს მეფის სასახლისკენ და ხატებით ხელში პური და თავისუფლება სთხოვა. მაგრამ მეფის შავმა გულმა ვერ გაიგო ხალხის სულისკვეთება და ტყვიით გაუმასპინძლდა. რევოლიუცია მაინც მოხდა, და ხალხი თუმც დამარცხდა, მაგრამ არა სავსებით. თუმც გრაფ-ვიტტეს 17 ოქტომბრის მანიფესტი შესახებ სიტყვის, წერის, სინდისის და კრებების თავისუფლებისა უდღეური გამოდგა, მაგრამ მთავრობამაც რომ უკან დაიხია, ეს ეჭვს გარეშეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას მოწმობს სათათბიროს დაარსება. თუმც შეზღუდული
რამ იყო ეს ე. წ. კონსტიტუცია, სადაც მეფისა და ხალხის
წარმომადგენლების შეთანხმებით უნდა წარმოებულიყო სა-
ხელმწიფოს მართვა-გამგეობა, მაგრამ მაინც ხალხის წარმო-
მადგენლობა ხომ მიაღებინეს ძველი წყობილების მედრო-
შეებს. მონარქიის ყრუ კედელი მაინც გაირღვა, და ძველი
მთავრობის სიმტკიცე შეირყა. ეს პირველი ნაბიჯი იყო გა-
მარჯვებისკენ გადადგმული.

ვ. კოტეტიშვილი

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიბლიოთეკა

(შემდეგი იქნება)



საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა თბილისი

რედაქტ. ნინო ნაკაშიძე. გამომც. ფ. პ. ი. თუმანიშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეცამეტე. **„ნაკადული“** წელიწადი მეცამეტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯელ

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან.—იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6** მანნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ, და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. №8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ბ სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ბ ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთში მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **ბ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**